# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 207 (5548)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## გვფარავდეს წმინდა ნინოს მადლი!

**გუშინ, 20 ოქტომბერს ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში, წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გაიხსნა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს რომ საბერძნეთიდან ბარსელონაში გემით სპეციალური შეკვეთით შესრულებულ სინას მაცხოვრის ხატს ჩააბრძანებენ.**

ხატი ათონის მონასტრის ბერების მიერაა დაწერილი.

ბარსელონიდან ხატს თბილისში წამოაბრძანებენ. სინას მაცხოვრის ხატი საბოლოოდ სამების საკათედრო ტაძარში დაიდებს ბინას.

**ჯი-ეიბ-ენი**

## თუ გვჭირდება, დღეს ჯუბა გვჭირდება! ②

## 2008 წელს ოქრუაშვილი უწლოვანი იქნებოდა... ②

# მიეცით მშვიდობას შანსი!







ჯემალ კასრაძის ფოტო

**გუშინ სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა და ქართველმა პოეტებმა გამართეს თეატრალიზებული აქცია, სახელწოდებით „არა – ძალადობას!".**

ეს იყო მშვიდობისადმი მიძღვნილი პაციფისტური აქცია. პოეტებმა მშვიდობასა და სიყვარულზე ნათქვამი ლექსები წაიკითხეს. ახალგაზრდა შემსრულებლებმა კი, სპეციალურად ამ თემისთვის, კონცეპტუალური მუსიკა დაუკრეს.

როგორც „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, აქცია ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული, იქნება ეს ჩვენი ხელისუფლებისა თუ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილი. როგორც ჩანს, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლება დიდად არ განსხვავდება მოქალაქეების მიმართ გამოჩენილი ძალადობით. რადგან თუ ტოგონიძე რუსეთის ხელისუფლებამ მოკლა. ჩვენმა ხელისუფლებამ გირგვლიანი და რობაქიძე მოკლა. დამნაშავეები კი ჯერ არ დასჯილანო, ისმოდა აქციაზე.

იქ იყვნენ რობაქიძისა და გირგვლიანის მშობლებიც. ირინა ენუქიძემ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდა დამნაშავეების დასჯისკენ, რომლებიც ისევ თავისუფლად დათარეშობენ.

აქციის ორგანიზატორები მონაწილეებს ურიგებდნენ პლაკატებს: „მე ვარ ოსი, მე ვარ აფხაზი, მე ვარ რუსი და მე ვარ ქართველი", რითაც კიდევ ერთხელ გამოკვეთეს, რომ ოთხივე ერისთვის მშვიდობიანი ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

**ლელა მანაგლიშვილი**

◎ პრეზიდენტის ინიციატივა

# 2008 წელს ოქრუაშვილი უწლოვანი იქნებოდა...

## ვითომ, მოვარტყამთ ერთი გასროლით ორ კურდღელს?

პრეზიდენტის ინიციატივა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარების თაობაზე, ოპოზიციამ უმალ „აიტაცა“. ამ საკითხს გუშინ მრავალი პრესკონფერენციაც მიუძღვნეს. ქვეყნის პირველი პირის ინიციატივის მიღმა ოპოზიცია სხვადასხვა „სარჩულს“ ხედავს, უმრავლესობა კი გვიმტკიცებს, რომ ამ გზით ბიუჯეტში თანხები დაიზოგება და არჩევნების ეიფორიით გადაღლილი მოსახლეობა ერთი გასროლით ორ კურდღელს მოკლავს.

ფრაქცია „მემარჯვენეების“ წევრის მამუკა კაციტაძის აზრით, პრეზიდენტის გუშინწინდელი გამოსვლა საკუთარი თავისა და პარტიის ბედით გამოწვეული შიშის დეკლარირება იყო.



– „ულვაშებში“ გაღიმებული ბატონი მიხეილის ნაცვლად, შეშფოთებული კაცი ვიხილეთ. ამის მიზეზი პარტიის ყოველდღიური რეგრესი გახლავთ. ამ გამოსვლით იგი კიდევ უფრო დასცილდა დემოკრატიას. ხელისუფლება თუ ადრე კანონებს ირგებდა, ახლა პრეზიდენტმა კონსტიტუციის მორგება დაიწყო, – აცხადებს კაციტაძე.

მემარჯვენე ოპოზიციონერისგან განსხვავებით, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნინო კალანდაძემ პრეზიდენტს გამოსვლისას შეშფოთება ვერ შენიშნა. მისი აზრით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად გამართვა გაამარტივებს ამ პროცესს, როგორც – ადმინისტრირების, ისე დაფინანსების მხრივ. „პრეზიდენტს არ სურს მოსახლეობა ზედმეტად დაიტვირთოს არჩევნებით“, – ამბობს კალანდაძე.

მამუკა კაციტაძე კი მიიჩნევს, რომ არჩევნების სიხშირე ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის უპირველესი საზომია. აუცილებელია ხალხის ინტენსიური მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, რაც ამ ხელისუფლებას არ სურს. ოპოზიცია მუდმივად აცხადებდა, რომ უმრავლესობა არჩევნების თარიღს მოულოდნელად, მოკლე დროში დანიშნავს და მომზადებას ვერ მოვასწრებთო. ასე ამბობდა იგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც. ახლა კი მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერს წლინახევრით ადრე არჩევნებზე ლაპარაკი ნაადრევად მიაჩნია. მით უფრო, რომ ქვეყანაში სხვა მრავალი პრობლემაა: „სოხუმი მიმართავს რუსეთს ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ცხინვალი ემზადება რეფერენდუმისთვის, მოსკოვი აგრძელებს ქართველთა დეპორტაციას, საქართველოს პრეზიდენტი კი ზის და საკუთარი თავისა და პარტიის გადარჩენაზე ფიქრობს. თანაც იცის, რომ პარლამენტში ცვლილებების დამტკიცება არ გაუჭირდება. პარლამენტიც ხომ თითქმის ერთპარტიულია“, – თქვა კაციტაძემ.

აზრთა სხვადასხვაობა ახლანდელი საპრეზიდენტო ვადის 9 თვით შემცირებასაც მოჰყვა. ამის უფლება პრეზიდენტს აქვს, რაც შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე დაკანონდება. უკვე ითქვა, რომ პარალელურად გამართული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას უმრავლესობის მიერ გამოყენებული ფორმულით ჩატარდეს. ანუ, გაიმარჯვა ნაციონალური მოძრაობა – მერი გახდა უგულავა. შესაბამისად, 2008 წელს, თუ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალები გაიმარჯვებენ, შეიძლება, პრეზიდენტი ავტომატურად კვლავ სააკაშვილი გახდეს. ამის თაობაზე განსხვავებული აზრი გაუჩნდათ რესპუბლიკელებს. პრეზიდენტის ინიციატივას ისინი უზურპაციის მცდელობად აფასებენ. დავით უსუფაშვილის განცხადებით, ეს ინიციატივა განპირობებულია „სააკაშვილის სრულად საფუძვლიანი შიშით“. მისი აზრით, 2009 წელს პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭს ახლანდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყრის, რასაც იგი 2008 წელს ვერ შეძლებდა, რადგან 35 წლის ჯერ არ იქნებოდა. უსუფაშვილი სააკაშვილის მიერ არჩევნების დაჩქარებასაც ამას მიაწერს.

„მრეწველების“ აზრით კი, პრეზიდენტს ადგილობრივ არჩევნებზე მიუსვლელი 70 პროცენტი აფიქრებს, რომელიც, სავარაუდოდ, ხმას ოპოზიციას მისცემს. საქართველო „ცდების პოლიგონია“, რასაც მოსახლეობის ჯანმრთელობა და ფსიქიკა ეწირებაო, თქვა გიორგი ცაგარეიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერის ნინო კალანდაძის თქმით, პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შევა, რომლითაც პრეზიდენტს უფლებამოსილება შეუმცირდება. მოსამართლეებს პრეზიდენტი აღარ დანიშნავს, ელჩებს კი, პარლამენტის ნაცვლად პრეზიდენტი გამოიწვევს. მისივე თქმით, კონსტიტუციაში ჩაიწერება განმარტება, რომ, თუ პარლამენტის ორჯერ დათხოვნის აუცილებლობა შეიქნება, ეს ქვეყანაში კრიზისულ ვითარებად მიიჩნევა და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება.

მემარჯვენეების აზრით კი, უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო რეფორმების სამუშაო ჯგუფი, რომელიც არა მხოლოდ თარილებს შეცვლის, არამედ შექმნის სხვა პოლიტიკურ რეალობას, ბალანსს, ხელისუფლების შტოთა შორის ადმინისტრაციული და ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე იმუშავებს.

ასე, რომ ვიდრე მემარჯვენეები საკუთარ სურვილებს აისრულებენ, მანამდე პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში ორშაბათს, ბიუროს სხდომაზე განიხილავენ.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ რედაქტორის აზრი

# თუ გვჭირდება, დღეს ჯუბა გვჭირდება!

თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ველური, აღვირახსნილი ანტიქართული ღრიანცელი, რაც რუსეთშია ამტყდარი, სულაც არ დაწყებულა დღეს.

დაიწყო ბევრად ადრე, თანდათან და ნელ-ნელა, ოღონდ შეუქცევადად.

მახსენდება ზუსტად ათი წლის წინათ, 1996 წლის შემოდგომაზე მომხდარი ამბავი.

ერთმა რუსმა კაცმა თავი მოიკლა, საბურთალოზე, ბახტრიონის გორაზე. მე-10 სართულიდან გადმოხტა.

ამ ამბავს მთელი რუსული პრესა ერთხმად, რაც მთავარია, ალშფოთებით გამოეხმაურა: თბილისის რუსული სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა სეტაშკომ თავი იმის გამო მოიკლა, რომ სპეციალობით სამუშაო ვერ იშოვა, რადგან საქართველოში ყველა რუსული სკოლა დაიხურაო. საქართველოში რუსებს დევნიანო, სკოლებს უუქმებენო.

სინამდვილეში კი აღმოჩნდა: ამ ინფორმაციაში მხოლოდ ის იყო მართალი, რომ ვინმე რუსი ეროვნების კაცი თბილისში მეათე სართულიდან გადმოხტა. დანარჩენი სიყალბე გახლდათ (გარდაცვლილის გვარიც კი!, სპეციალურად, ბოროტგანზრახულად შეთხზული და მიწოდებული რუსი მკითხველისთვის. შთაბეჭდილებას უსაშველოდ აძლიერებდა მიწაზე გართხმული, ტვინდანთხეული გვამის სურათი.

დადგინდა, რომ ეს კაცი არავითარი მათემატიკოსი და მასწავლებელი არ ყოფილა, ადრე მძღოლად მუშაობდა, ბოლო ხუთი წელი კი სანტექნიკოსობით ირჩენდა თავს, ქრონიკული ალკოჰოლიკი იყო, იმ ტრაგიკულ დღეს კი ძლიერი ცხელება ჰქონდა,

რაც მთავარია, 1996 წელს თბილისში არავითარი „ყველა რუსული სკოლა“ არ დახურულა. მცირე კონტინგენტის გამო შეერთდა მხოლოდ ორი, დანარჩენი 20 რუსული და 51 ქართულ-რუსული სკოლა კი გამართულად მუშაობდა.

ამრიგად, ერთ ჩვეულებრივ ყოფით ტრაგედიას უმალ მიეცა პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეთნიკური დაპირისპირების ხასიათი.

მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას!

დასჭირდათ რუსეთის საზოგადოების „შეჯანჯღარება“, მისთვის „ეროვნული ჩაგვრის“ ნიადაგზე სისხლში ადრენალინის მომატება და უმალ იშვა ლეგენდა. და, რა თქმა უნდა არავის უხსენებია, რამდენმა ქართველმა მოიკლა თავი შეჭირვების გამო.

აქ მთავარი იყო „რუსული სკოლების დახურვა“ და ამ ნიადაგზე „რუსი მასწავლებლის“ თვითმკვლელობა.

ეს გამიზნული დეზინფორმაციის ერთი მაგალითია. ამის მსგავსი კიდევ მრავლად იყო, არის და, გჯეროდეთ, კიდევ იქნება.

რუსეთის საზოგადოებას მასირებულად მიეწოდება აზრი, რომ ნებისმიერი ცუდი რამ, რაც იქ ხდება, ქართველების ბრალია. „ქართული მაფიის“ შესახებ გამოგონილი ლეგენდები, უკვე აჭარბებს ყველაფერს, რაც კი ოდესმე, სადმე შეთხზულა ალიბაბას 40 ყაჩაღზე. რის „კოზა ნოსტრა“...

მაგალითად, 17 ოქტომბერს ამხილეს რუსეთში მოქმედი მორიგი „ქართული მაფიის“ შავი საქმეები. ამჯერად რაღაც კაზინოების, რესტორნებისა და ბაზრების „კრიშობაზე“ კი არ არის ლაპარაკი, არამედ დანაშაულებრივი „თანამეგობრობის“ მთელ ქსელზე, რომელმაც ორი წლის მანძილზე დედაქალაქის ბანკებისა და ყალბი არაკომერციული ორგანიზაციების საშუალებით საზღვარგარეთ – საქართველოში, ლატვიაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში უკანონოდ გაიტანა დაახლოებით... 7 მილიარდი დოლარი.

თურმე ეს „უკანონო საბანკო მაქინაციები“ (თითქოს მაქინაცია კანონიერიც შეიძლება იყოს!! დაკავშირებულია ვინმე ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტთან „ჯუბასთან“, რომლის ყოველდღიური შემოსავალიც, არც მეტი არც ნაკლები, 500 ათასი დოლარი ყოფილა და რომელსაც ოდესღაც, სადღაც, ვიღაცასთან წამოსცდენია, ჩემი ფული „პატარა ძლევამოსილი ომის“ საჭიროებას ხმარდებაო.

„ჯუბა“ 32 წლის ჯუმბერ ელბაქიძე ყოფილა. მას თურმე მჭიდრო ეთნიკური და ფინანსური ურთიერთობა ჰქონია ქართული დიასპორის კრიმინალურ წარმომადგენლებთან, აგრეთვე იმ ქართველებთან, რომლებიც ადრე აფხაზეთში იბრძოდნენ (ამ მომენტს თავისი დატვირთვა აქვს: უნდა ვივარაუდოთ, რომ უკავშირდება მომავალ „პატარა, ძლევამოსილ ომს“!. მისი დაჯგუფება თურმე კონტროლს უწევდა მოსკოვის... რვა საკრედიტო ორგანიზაციას, ფულს ათეთრებდნენ პრინბანკის, ვეკ-ბანკის, „ინვესტკომბანკ ბელკომისა“ და „ცენტურონის“ საშუალებით. ამას გარდა, „რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს, ცენტრობანკის, სამართალდამცავი ორგანოებისა და სახელმწიფო სისტემის ზოგიერთი კორუმპირებული მუშაკის ხელშეწყობით“ ჯუბამ თურმე შეძლო 3 მილიარდი რუბლის მიღება ვითომ სასოფლო-სამეურნეო პროგრამის საფარით...

ყოჩაღ, ჩვენო სისხლო და ხორცო, ძმაო ჯუბა!

ერთი სიტყვით, მსოფლიოს კრიმინალურ და ფინანსურ კაბადონებზე ახალი მნათობი აკაშკაშდა – დიდი ჯუმბერ ელბაქიძე, რომელმაც 7 მილიარდი (!! დოლარი „მოუტეხა“ რუსეთს და, რაც მთავარია, ეს ფული „პატარა ძლევამოსილი ომისთვის“ გადადო. ბრმა და ყრუ უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ ამ „პატარა ძლევამოსილში“ უთუოდ აფხაზეთის მეორე ომი იგულისხმება. ახლაღა დავკვალიანდით, რომ ალბათ, მის იმედად იმუქრება საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რუსეთს „პატარა ომში დავამარცხებო“.

მაქვს წინადადება: გამარჯვების შემდეგ ეს გენიოსი, სამშობლოსთვის გულანთებული, აწ სადღაც ევროპაში მიმალული კაცი ვიპოვოთ, ჩამოვიყვანოთ (სანამ რუსებს დაუჭერიათ) და პრემიერ-მინისტრად დავნიშნოთ განუსაზღვრელი ვადით. 32 წლის კაცმა ამდენი რომ შეძლო, 42, 52, 62 წლისა რას იქმს! მოკლედ, რაღაც სხივი აკიაფდა, თორემ პერმანენტულად მწუხარე სახის ზურაბ ნოღაიდელის იმედად მტერი იყოს!

ოღონდ, ეს იმედი ჯერ მთლად ხელშესახებად არ ჩანს. ირკვევა, რომ რუსეთის სამართალდამცავთა უდიდეს უმრავლესობას არც ამ სენსაციური საბანკო აფიორის და არც ამ გენიალურ ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტზე არაფერი სმენია. „ჯუბა“ საერთოდ არ ირიცხება მილიციის კარტოთეკაში და, კაცმა არ იცის, რეალურად არსებობს თუ არა.

ასე იქმნება ლეგენდები, ასე, ისხმება ნავთი ცეცხლზე!..

თითქოს კრიმინალური თავსატეხები შინ გვაკლდეს.

თითქოს კობა დავითაშვილი, იმის გარდა, რომ პარლამენტ-საკრებულოში თამაშგარე დარჩა, 20-ათასიანი და „ანტისომხური“ შინაარსის სკანდალებში არ გახვეულიყოს, თითქოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მუშაკები დასტა-დასტა არ აეყვანოთ თავისმომჭრელი მაქინაციებისთვის...

მოკლედ – გარედანაც, შიგნიდანაც...

საქართველოს პრეზიდენტი კი, რომელიც თავის მიერვე დანთებული ჭიაკოკონის ალის სიმაღლემ და სიმხურვალემ შეაშფოთა, გამოსავალს ეძებს და პრეზიდენტ პუტინთან ნებისმიერ ადგილას შეხვედრაზე თანხმდება. აი, პუტინი კი ჯერჯერობით, თანახმა არ არის. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, სხვა გამოსავალი არც მას აქვს. მუდმივად ასე გაგრძელება აღარ შეიძლება: ქართველები (კრიმინალებიც და არაკრიმინალებიც) რუსეთს ძირ-ძიროზამდე დააქცევენ,

მათგან სხვას რას უნდა ელოდე!

◎ ქველმოქმედება

## პირველი ქალბატონი ვიზიტად ბრძანდება

**საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი სამუშაო ტურნეს ფარგლებში ჰოლანდიასა და ბელგიაში გაემგზავრა. პირველი ლედი იმ დონორ ორგანიზაციებთან გეგმავს შეხვედრას, რომლებიც აფინანსებენ ჰუმანიტარულ საქმიანობას. ცნობილია, რომ აღნიშნულ ფონდს თავად სანდრა რულოვსი ხელმძღვანელობს.**



პირველი ლედის ვიზიტის მეორე მიზანი კი საზღვარგარეთ საქართველოს ტურისტული პოტენციალის გატანა და ქართული ღვინის პოპულარიზაციაა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ხედვა

# რაღა რუსული დათვის ხელის ბიჭის რეიტინგში და – რაღა ხრუშჩოვისა

## ნომრის სტუმარია პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე

**– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობას?**

– ალბათ, უპრიანია, საკითხი სხვანაირად დაისვას როგორც აქ, ისე რუსეთში. პრობლემა რუსეთ-საქართველო კი არა, საკუთრივ რუსეთია. ანუ, რუსეთის ურთიერთობა საკუთარ თავთან. ვვარაუდობ, რომ ამჟამად რუსეთს საკუთარ თავზე ისეთივე წარმოდგენა აქვს, როგორიც გერმანელ ერს ნაციზმის წინ. გერმანელებს უსამართლოდ დაჩაგრულის განცდა ჰქონდათ და ამ დროს გამოჩნდა მაშინ არცთუ ცნობილი კაცი, ვინც მათ უთხრა, თქვენ ყველაზე ძლიერები ხართ და ეს მთელ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოთო. რუსეთსაც აქვს დაჩაგრულის განცდა, მისი ქმედება, სკინჰედებიდან დაწყებული, „ნაცმენებს“ ქუჩაში რომ ხოცავენ და ყველა დონის სახელმწიფო მოხელეებით დამთავრებული, რომლებიც ამ სიმხეცეს ლამის ტაშს უკრავენ, ნაციზმის აშკარა გამოხატულებაა. ხანდახან მგონია, რომ პუტინი ამ ქმედებების მსხვერპლია.

**– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? რუსეთში სიტუაციას პუტინი ვეღარ მართავს? თუ ასეა, ვისი ეშინია მას?**

– პუტინის გენერალური ხაზი, რომლითაც აპირებდა და აპირებს დარჩეს ისტორიაში, ენერგომატარებლებით და ეკონომიკით მსოფლიოსთან ურთიერთობაზე გადიოდა. ეს პრინციპულად ახალი სიტყვა იყო რუსულ პოლიტიკაში, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთი ყოველთვის ქვემეხებით ლაპარაკობდა. რუსეთი რომ პუტინის გეგმის მიხედვით განვითარებულიყო, გაცილებით დასუსტდებოდა სამხედროთა კლანი. ქვეყანაში, სადაც გენერალიტეტი წყვეტდა თითქმის ყველაფერს, ასეთი „დაცემა“ ძალზე მტკივნეული და მიუღებელი იქნებოდა. ამიტომაც, ვფიქრობ, პროვოცირებულ ნაციზმს სწორედ სამხედროები წარმართავენ.

სამხედროებისთვის ყველაზე მომგებიანი სწორედ ქვეყნის ნაციზმისკენ წაყვანაა. თუკი ისინი ამას შეძლებენ, მაშინ თავად დასავლეთს უნდა შეეშინდეს, რომ მოდის ახალი, უკვე სლავური ნაციზმი. და, თუ პატარა გერმანია დაამარცხეს, ამხელა რუსეთის ჯობნა ძალიან გაჭირდება. ამ ნაციზმის ფონზე კი, თუ რამეზე უარი უნდა თქვას დასავლეთმა, სწორედ პუტინის მიერ შეთავაზებული ენერგომატარებლებია. ანუ, იქმნება პარადოქსული სიტუაცია – ყოველგვარ მოლაპარაკებას გამოვრიცხავ აშშ-სა და რუსეთს შორის, მაგრამ, ობიექტურად, რუსი სამხედროებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. აი, ამ რუსული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მოჰყვა საქართველო.



**– მაგრამ ამ ფონზე, რუსეთს, ალბათ, გაუჭირდება იყოს დემოკრატიული სახელმწიფო. ბევრი რამის დათმობაც მოუწევს,**

– ევროპისკენ სვლა სამხედროების პოლიტიკოსების დაქვემდებარებაში მოქცევას გულისხმობს და არა – პოლიტიკის გასამხედროებას. აქამდე რუსეთის პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედი იყო ატომური იარაღი და დღეს, როცა რუსეთის დემოკრატიულ სტანდარტებში ჩასმის საკითხი დგება, სამხედროთა ჩამოგდება ამ სიმაღლეებიდან აუცილებელი ხდება. თუ სამხედროები იერარქიულ მწვერვალზე დარჩებიან, დემოკრატია გამორიცხულია! აი, ამ ალტერნატივის წინაშე დგას რუსეთი.

**– და, თქვენი აზრით, დემოკრატია გენერალიტეტზე გაიმარჯვებს?**

– ძალიან ძნელი სათქმელია. თუ მსოფლიომ ისევ მწვანე შუქი აუნთო რუსეთს, როგორც თავის დროზე ჰიტლერს, მაშინ ნაციზმი გაიმარჯვებს. და ეს ტრაგედია მარტო საქართველოსთვის არ იქნება. მაშინ უკვე მთელ მსოფლიოს დაუდგება მძიმე დღეები. საგულისხმოა ისიც, რომ ეს სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფები ცდილობენ ისე გაიტანონ თავიანთი პოლიტიკა, რომ პრეზიდენტის რეიტინგი გამოიყენონ, პუტინის რეიტინგით გააკეთდეს ყოველივე. ხვდება ამას პუტინი თუ ვერა, ეს უკვე მისი ინტელექტის საქმეა. რეალურად კი ვფიქრობ, რომ პუტინს თავისივე პოლიტიკის საწინააღმდეგო ნაბიჯები გადაადგმევინეს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის კარი პუტინისთვის – დიდი პოლიტიკოსისთვის – ღიაა, მაგრამ, როგორც კი აღმოჩნდება, რომ იგი ჩვეულებრივი ძველი რუსული დათვის ხელის ბიჭია, მისი პოლიტიკური რეიტინგი მყისვე ხრუშჩოვის დონემდე დაეცემა.

**– ამ ეტაპზე რამდენად ადეკვატურად აფასებს მსოფლიო რუსეთის შესაძლებლობებს?**

– ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია უკვე მიუთითებს, რომ მსოფლიომ საქართველოს საკითხში უკან დაიხია რუსეთის წინაშე. გაეროში ჩვენი თემის გატანისას ასევე, რუსეთს გაუწიეს ანგარიში.

იხ. 5 გვ.

◎ რადიკალური ოპოზიცია

# კონსტანტინე გამსახურდია: „სერიოზული და პატრიოტი ხელისუფლება არა გვყავს“

## როდის გავალიზიანეთ „დროულად“ რუსეთი?

*„მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა, ერთდროულად გაიმართოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ისევე, როგორც მისი ყოველი ნაბიჯი და ქმედება, საქართველოში ერთპარტიულობის დამკვიდრების, კომუნისტური რეჟიმის აღდგენისკენ არის მიმართული. ოპოზიციის ლიდერები არჩევანის წინაშე დავდგებით – რომელ არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა? ორივეში – ხომ გამორიცხულია. ამით სააკაშვილს სურს, გააცოცხლოს თავისი მკვდარი გუნდი – ნაციონალები და მისი რეიტინგის, პირადი გავლენის მეშვეობით ყველგან – საკრებულოსა თუ პარლამენტში – უმეტესობად გააძლიეროს. ამით მოისპობა საქართველოს ისედაც სუსტი დემოკრატია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განცხადება ზეპირი იყო, კონსტიტუციაში შესატანი ეს ცვლილება არ გამოქვეყნებულა და, ამდენად, საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევია“, – განაცხადა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერმა ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ ამ საკითხისადმი მიძღვნილ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.*

*მერე კი ჩვენი საუბარი გაიმართა.*

**– გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნეთ, ამერიკის შეერთებული შტატები უკმაყოფილოა საქართველოში ირანის პრეზიდენტის მოსალოდნელი ვიზიტის გამო – რუსეთის ენერგობაზრიდან გამოსვლა, ირანის ენერგეტიკულ ორბიტაზე გასვლას არ უნდა ნიშნავდესო...**

– დიახ, ასეა.

**– რატომ, ამერიკა გაგვინაწყენდება?**

– ჯერ ვნახოთ, როგორი კავშირი დამყარდება ირანთან. ესეც ხომ საკითხავია. ან სადა აქვს ხელისუფლებას ირანის გაზის შესაძენი ფული? ირანისა – ხომ რუსეთისაზე ძვირია. აზერბაიჯანი ეთნიკურადაც და სარწმუნოებრივადაც ენათესავება ირანს, მაგრამ მაინცდამაინც არ უცდია მასთან დაახლოება.

**– მოგეხსენებათ, მსოფლიო პოლიტიკაში პარტნიორებს პირადი სიმპათიით არ ირჩევენ. მთავარი ხეირი, ინტერესია. ნუთუ ვინმეს ჰგონია, ამერიკა ჩვენი სიყვარულით იდაგება და იმიტომ „გვევლება თავს“? თუ რუსეთი ენერგეტიკულ ძარღვს გადაგვიჭრის, როგორი ზამთარი გველის? ხომ უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ სათადარიგო გზების მოსაძიებლად? ხოლო, თუ ამერიკა განაწყენდება, კეთილი ინებოს და, „თბილი ზამთრის“ გარანტად დაგვიდგეს.**

– ალტერნატიულ გზებზე ზრუნვას ხელისუფლება 2004 წლის დასაწყისში უნდა შედგომოდა, როცა ძალაუფლება იგდო ხელთ. თუ არ იცოდნენ – და არც ახლა იციან – რა როგორ ეკეთებინათ, მაშ, პირადი კეთილდღეობისთვის უზრუნიათ და ეგაა. თუნდაც, ყაზახეთიდან, კასპიის გავლით, შემოეტანათ გაზი. 2006 წლის ზამთარშიც ურცხვად ცრუობდნენ, ვითომც ირანული გაზი შევაშველეთ ხალხსო. ეგ გაზსადენი მწყობრიდან იყო გამოსული. მაშ, ან თურქმენული, ანდა კვლავ რუსული გაზი „შემოგვაპარეს“. საქართველოში მცირე ნახშირის მდიდარი საბადოებია. აგვეშენებინა ორი გრესი. ხომ კარგა წაგვადგებოდა? ქარის, სოლარული ენერგია? მცირე ჰესების მშენებლობა წაეხალისებინათ. გაეცათ სესხები, სუბსიდიები. თქვენ ცოდნა და მონდომება თქვით, თორემ უსაშველო რა იყო? ეგებ, არც ასეთი ალტერნატივის წინაშე დავმდგარიყავით. მაგრამ არა გვყავს სერიოზული და პატრიოტი ხელისუფლება.

**– ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიწვევით იყავით. რა იყო ამ მიწვევის მიზანი?**

– ჩემი (მამაჩემს კარგად იცნობდნენძ და ჩვენი მოძრაობის გაცნობა. შევხვდით ქვეყნის სახელისუფლებო და ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლებს, ზბიგნევ ბჟეზინსკის, გამოვედი კარნეგისა და ნიქსონის ცენტრებში... რა თქმა უნდა, ძირითადი თემა საქართველოში შექმნილი ვითარება იყო. მასპინძლებს ვერ შევატყე ხბოს აღტაცება საქართველოს შინა და გარე პოლიტიკის გამო. კრიტიკულ შენიშვნებს ერთობ ყურადღებით ისმენდნენ და ინიშნავდნენ კიდეც. ასევე სრული გაგებით მოეკიდნენ ადგილობრივი არჩევნების მიმართ ჩვენს ბოიკოტს. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაც ხომ მთლიანად საზიანო, წამგებიანია ჩვენთვის. ეს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის კრახია. სადაა ნახსენები მასში ზემო აფხაზეთი? ყველგან კოდორის ხეობაა მოხსენიებული. ალბათ, ხეობის გაუკაცრიელება გველის. უფრო გაღრმავდება კრიზისი გაყინული კონფლიქტების ზონაში. ხელისუფლება თითქოს თავად მიილტვის კოსოვოზაციისკენ. ვერ კი გეტყვით, რატომ, კოსოვოს ვარიანტი საქართველოს დაამახინჯებს. რეზონანსიც ძალზე ცუდი იქნება.



**– შეძახილი ადვილია. საქმეა ძნელი. ოპოზიცია კი ხან – რას, ხან კიდევ – რას უკიჟინებს ხელისუფლებას. ხშირად ყოვლად სამართლიანადაც, მაგრამ მისგან რაიმე კონსტრუქციულს ძნელად გაიგონებს კაცი. ჰოდა, როგორ იტყვით, რა უნდა ექნა ხელისუფლებას?**

– სხვებზე ვერას გეტყვით, ჩვენს მოძრაობას კი აქვს გააზრებული, აწონ-დაწონილი პროგრამა, მაგრამ, მისი განხორციელება რომ შეძლო, სათანადო უფლებამოსილებაც ხომ უნდა გქონდეს? არსად გაგვაკარეს ამ უფლებას, ყველა გზა გადაგვიკეტეს... კონკრეტული ვითარების გამო კი ვიტყვი: ხელისუფლებას სულსწრაფად არ უნდა ემოქმედა. მოეცადა, ვიდრე დასავლეთის ინტერესები ჩვენს მიმართ იმდენად გაიზრდებოდა, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი დაგვიბრუნდებოდა. ეს სულაც არ ნიშნავს გულზე ხელის დაკრეფას. ყველა შესაძლო სამართლებრივი საშუალებით უნდა გვემოქმედა და დროზე ადრე არ გაგველიზიანებინა რუსეთი. ახლა რაც იქ ხდება, ხომ ირაციონალური კოშმარია. თითქოს, მტერმა ურჩია, ასე უკუღმა ირტყი თავში ხმალიო. აზერბაიჯანმა შეძლო და ყარაბაღი ოკუპირებულ ზონად გამოაცხადეს, მოლდოვამაც. რატომ ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეს? ამიტომაც ვთქვი, გონიერი, სერიოზული, პატრიოტი ხელისუფლება არა გვყავს-მეთქი...

**კონსტანტინე გურგენიძე**

*P. S. ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან საუბარმა უკმარისობის გრძნობა დამიტოვა. ალბათ, იმიტომ, რომ რესპონდენტს ეჩქარებოდა და ზოგიერთი საკითხის დაზუსტება ვეღარ შევძელი. ეგებ, მიმავალ შეხვედრებზე ვისაუბროთ უფრო სიღრმისეულად. მაგრამ მისი ერთი ფრაზის თაობაზე – დროზე ადრე არ უნდა გაგვეღიზიანებინა რუსეთიო, ახლავე უნდა ვთქვა.*

*მესმის – პოლიტიკოსის ერთი ნიჭთაგანი სწორედ დროის ზუსტად შერჩევა და ამ დროსა და გარემოების მიხედვით ზუსტი მოქმედებაა, მაგრამ, ესეც ვიკითხოთ, „დროულად“ როდის გავალიზიანეთ რუსეთი? გეორგიევსკის ტრაქტატი თავზე რომ გადაგვახია და დაგვიპყრო, დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოგინდათო?! ან, ეგებ, მაშინ, ხელმეორედ, უკვე ბოლშევიკურად, მაგრამ მაინც ველიკოდერჟავულად რომ დაგვიპყრო, გეყოთ, რაც 3 წელი თავისუფლად ისუნთქეთო: ან ეგებ, მაშინ, საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტი რომ დაამხო შინაგამცემების ხელით, მე თქვენ გიჩვენებთ, დამოუკიდებლობასო! ან, ეგებ, მაშინ, მისსავე ხელდასხმულ ხელისუფლებასაც რომ გაუჩალა შიდა ქართლი და აფხაზეთი? დაგშლით, დაგანაწევრებთო! უფრო „წვრილ-წვრილებზე აღარას ვიტყვი!*

*ნათქვამია, ვერაფერი შეაჩერებს იმის დროს, რისმა ჟამმაც ჩამოჰკრაო. ეგებ, ჩამოჰკრა იმ ჟამმა, როცა ჩვენ ჩვენსას უნდა ვეწიოთ, მით უფრო, რომ რუსეთს გალიზიანება სულაც არა სჭირდება. მონღოლებისა არ იყოს, იგი პარტნიორობას არა ცნობს. უსიტყვო მორჩილება, მონობა, აი, ყოფილი მსოფლიო ჟანდარმის არსი.*

◎ ინფორმაცია

## ყოველივე ეს არავის სიამოვნებს

თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. მან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ელჩებთან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებსა და ნატოსთან დაახლოების საკითხებზე ისაუბრა. მისი თქმით, დიპლომატებთან რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში წარმოებული წვრთნების საკითხიც განიხილა.

„ისინი შეშფოთებული არიან, რაც ეკონომიკური ბლოკადის კომპონენტია და არავის სიამოვნებს ის ფაქტი, რომ ქართული გემები პორტში ვერ შედიან. პრაქტიკულად, მიდის ქართველი მესაზღვრეების დისკრედიტაცია“.

## უკომენტაროდ...



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო რუსეთის მიერ ჩვენთვის დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოში შესატან სარჩელზე მუშაობას უახლოეს ხანში დაასრულებს. კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სარჩელზე დამატებით კომენტარს იუსტიციის სამინისტრო არ აკეთებს.

სარჩელში გათვალისწინებული იქნება სანქციების პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციისას ადამიანთა გარდაცვალების ფაქტები, რუსული სკოლებიდან ქართველი ბავშვების გამოძევების საკითხები, სატრანსპორტო სივრცის ჩაკეტვის გადაწყვეტილება და სხვა.

ინტერპრესნიუსი

◎ თვალსაზრისი

# შელახული



## ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა

მდგომარეობის ხსნა კიდევ შეიძლებოდა, თუ მიწა ქართული არისტოკრატიისა და გლეხობის ხელში დარჩებოდა. მოვლენათა განვითარებამ ამ შემთხვევაშიც სავალალო ხასიათი შეიძინა. საქართველოს დაპყრობისთანავე (XIX საუკუნის დამდეგიძ რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართული არისტოკრატია, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი სოციალური ძალა, განდევნა სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროდან. ქართულმა არისტოკრატიამ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო (ჯამაგირიძ დაკარგა. შემოსავლის ერთადერთ წყაროდ რჩებოდა მიწა. საქართველოში მაიორატის სისტემის არარსებობის გამო არისტოკრატიული საგვარეულოების მფლობელობაში არსებული მიწის ფონდი დაუსრულებლად ნაწილდებოდა ოჯახის წევრებს შორის. ამიტომ თითოეული ოჯახის მფლობელობაში არსებული მიწა სულ უფრო მცირდებოდა, კლებულობდა მამულიდან მიღებული შემოსავალიც. XIX საუკუნის დამდეგისთვის, რომ არაფერი ვთქვათ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე, თვით ცნობილი თავადური საგვარეულოების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი მცირე მიწას ფლობდა, ე.ი. მცირე იყო მამულიდან მიღებული შემოსავალიც. 1832 წლისთვის ქართლისა და კახეთის ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს მიწა იმდენად მცირე შემოსავალს აძლევდა, რომ მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თუ კმაროდა. ამ შემოსავლით შეუძლებელი იყო, მაგალითად, შვილებისათვის რუსეთში ან საზღვარგარეთ განათლების მიცემა, ოჯახისათვის პროფესიონალი ექიმის დაქირავება, თანამედროვე ევროპული ტანსაცმლისა და ავეჯის შეძენა, მთელი წლის მანძილზე ქალაქში ცხოვრება და ა.შ. ფულის ნაკლებობის გამო ქართულმა არისტოკრატიამ მასობრივად დაიწყო ვალის აღება სომხური ბურჟუაზიისაგან, რაც მალე ძვირად დაუჯდა. თუ არისტოკრატიის ნაწილმა მიწა დაკარგა პირდაპირი გაყიდვის გზით, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ვალების გადაუხდელობის გამო გახდა იძულებული მიწა გაეყიდა. ორივე შემთხვევაში მიწის მყიდველი ისევ არაქართული (ძირითადად სომხურიძ ბურჟუაზია იყო.

საქართველოში რუსეთის ბატონების სამოც წლისთავზე (XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვისძ ქონების გადანაწილების პროცესის თავისებურებათა გამო პრაქტიკულად ვერ ჩამოყალიბდა **ქართული ეროვნული ბურჟუაზია,** ანუ არ არსებობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი და მისი ხალხში შემტანი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ძლიერი იყო ქართულ არისტოკრატიაში, მაგრამ დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ქართული არისტოკრატია მოკლებული იყო ეკონომიკურ სახსარს, რაც აუცილებელი იყო ხალხში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების შეტანისთვის, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის საიმპერატორო კარის, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციისა და უცხოტომელი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასაძლევად. ასეთ მძიმე, თითქმის უიმედო ვითარებაში დიდი ტრადიციების მქონე ქართულმა არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისთვის. ამ მოძრაობას სათავეში ედგა მოღვაწეთა დასი **ილია ჭავჭავაძის** წინამძღოლობით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო მიზნის მისაღწევად: დიდი წინამძღოლი, მოღვაწეთა ბრწყინვალე დასი, შესანიშნავი პროგრამა, პროგრამის განხორციელების კარგად გააზრებული გზები. არ ჰქონდა მხოლოდ ერთი რამ: **პროგრამის რეალიზებისთვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი**. ქვეყანაში არ იყო არც ეროვნული ბურჟუაზია (დიდი კაპიტალის მფლობელი), არც საშუალო და წვრილ კერძო მესაკუთრეთა ფენა (გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრებიძ. მართალია ბატონყმობა ამ დროისთვის უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ საგლეხო რეფორმის განსაკუთრებული ხასიათის გამო **ქართველი გლეხობა კერძო მესაკუთრეთა შეძლებულ ფენად ვერ ჩამოყალიბდა.** ხელისუფლების მხარდაჭერისა და უკვე დაგროვილი კაპიტალის წყალობით სომხურმა ბურჟუაზიამ არც წარმოების (მრეწველობისძ და არც ვაჭრობის სფერო არ დაუთმო ქართველობას. მართალია საგლეხო რეფორმის ძალით გლეხმა მიწა მიიღო (კერძო მესაკუთრე გახდაძ, მაგრამ კანონით გლეხს მიღებული (მემამულისაგან გამოსყიდულიძ მიწის გაყიდვა ეკრძალებოდა. სერიოზული კაპიტალის გარეშე კი გლეხს ქალაქში წასვლა და საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობა (ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმაძ არ შეეძლო.

სოფლად მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ შეაფერხა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება, მდიდარი გლეხობის ფენის



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 206.

◎ ცივილიზაციათა დიალოგი

# „ჩვენ-ყველას უმთავრესი რამ, ადამიანობა გვაერთიანებს“

## ,,ქორთიარდ მარიოტმა'' ერთ ლამაზ საღამოს უმასპინძლა



**„მშვიდობა, ტოლერანტობა, ურთიერთგაგება“, — ამ სახელწოდებით „დიალოგ ევრაზია-საქართველოსა“ და „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდმა“ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საღამო გამართა. საღამო მიეძღვნა ცივილიზაციათა დიალოგს, ჩვენი საერთო ღირებულებების პატივისცემისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას. ამიტომაც მას ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ პიროვნებებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან ერთად რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ საღამო მუსულმანების მარხვისას — რამადანის თვეში გაიმართა.**

**საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორის „დიალოგ ევრაზია-საქართველოს“ პრეზიდენტის გიული ალასანიას თქმით, ეს დღე მეტად მნიშვნელოვანია: „დღეს ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ დავადასტუროთ ჩვენი ერთგულება დემოკრატიული პრინციპების მიმართ, ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ძირითადი უფლების — სიცოცხლის მიმართ, ამასთან, ჩვენი ერთგულება ტოლერანტული პრინციპების მიმართ, რომელიც გასდევს ჩვენს ისტორიას. საქართველოს ისტორიის მანძილზე სამართლის ძეგლში ჩვენ არ გვქონია სიკვდილით დასჯის მუხლი, რადგან ადამიანის სიცოცხლე ყოველთვის ძალიან ფასობდა. 90-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი პირველი კანონი სწორედ სიკვდილით დასჯის გაუქმება იყო.**

**ჩვენი სამართლის ძეგლი არ განასხვავებდა დანაშაულს ეთნიკური კუთვნილების მიმართ. ესეც არ იყო შემთხვევითი. დღეს, როცა ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან ადამიანები იდევნებიან მხოლოდ ეთნიკური კუთვნილების გამო, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად დაუშვებელია,“ — თქვა გიული ალასანიამ.**

შავი ზღვის უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარემ **მესუთ ბოზქირმა** მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს, ვინც მოვიდა საღამოზე და ერთმანეთის მიმართ სიყვარული, პატივისცემა და მიმტევებლობა გამოხატა. მისი თქმით, ეს საღამო არის ამ საერთო ღირებულებების აღიარება, რომელიც ყველა ადამიანს სჭირდება.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში **ერთან თეზგიორმა** დანანებით თქვა, რომ 21-ე საუკუნეში სარწმუნოებებს შორის განსხვავება მრავალ პრობლემას წარმოშობს, „მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს არსებითი რამ, რაც ჩვენ გვაერთიანებს — 6 მილიარდი ადამიანი. ჩვენ — ყველას სწორედ ადამიანობა გვაერთიანებს“.

სტუმრებს მიესალმნენ: პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი **მაია ნადირაძე,** საქართველოსა და თურქეთის ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი **ქენან ილდირიმი,** მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველი, მეუფე **ანანია (ჯაფარიძეძ,** საქართველოში ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარი **მალხაზ სონღულაშვილი** (რომელმაც სტუმრებს შეახსენა ისლამური საღვთო წერილიდან მოციქულის მიერ ადამიანებისადმი მიმართვა-გაფრთხილება: „ნუ გაავდებიძ

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ თვალსაზრისი

# ღირსება

(ფერმერების) წარმოქმნისა და სოფლად დაგროვილი კაპიტალის ქალაქში გადატანის პროცესი. სომხური ბურჟუაზია კონკურენციისაგან დაცული აღმოჩნდა. სოფლად დარჩენილი ქართველი გლეხი კი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მცირე მიწაზე მეურნეობის მოწყობა და შეძლებულ მესაკუთრედ გადაქცევა ძნელი იყო.

საგლეხო რეფორმის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ქართული არისტოკრატიის მიწების სომხური ბურჟუაზიის ხელში გადასვლა. ასეთ ვითარებაში ქართული ეროვნული ბურჟუაზია ნელა იმართებოდა წელში და საბოლოოდ 1917-1918 წლებისათვის სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა. მას მუდმივად თრგუნავდა სომხური და რუსული კაპიტალი.

ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ორმოცდაათწლიანი ბრძოლის შედეგად, მართალია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება კი გაძლიერდა, მაგრამ მის გვერდით სულ უფრო იკიდებდა ფეხს **კლასობრივი და პარტიული ცნობიერება**. კლასობრივი და პარტიული ცნობიერების გაძლიერების მაუწყებელი იყო 1905-1907 წლების რევოლუცია — XIX საუკუნის 60—90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების) მოსპობის სერიოზული მცდელობა.

1917-1918 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ ვერ მოსპო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. თუმცა ცხადი გახდა, რომ მუშების და გლეხების გარდა, კლასობრივმა და პარტიულმა ცნობიერებამ ფეხი მოიკიდა ქართულ არისტოკრატიაში. თითქმის აუხსნელია, თუ რატომ აღმოჩნდა ქართული არისტოკრატიის (თავადების, აზნაურების) ნაწილი სოციალისტური ორიენტაციის პარტიებში, რატომ განდევნა მათი ცნობიერებიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კლასობრივმა და პარტიულმა. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. **ქონების გადანაწილების პროცესმა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო**



**და განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან, ქართული არისტოკრატია ფენებად დაშალა. არისტოკრატიის მცირე ნაწილმა, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება შეინარჩუნა. არისტოკრატიის უდიდესი ნაწილი, რომელიც ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, ორად აღმოჩნდა გაყოფილი. ერთმა ნაწილმა სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიულ სისტემებში მოიკალათა, მათ უმრავლესობას აღარ გააჩნდა ეროვნული ცნობიერება. მეორე ნაწილი სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება, სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლა გაიხადა მიზნად და საერთოდ დაჰკარგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება.** ეს იყო დიდი ეროვნული ტრაგედია. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ნათელი გახდა, რომ ქართველი ერი ურთულესი პრობლემის წინაშე იდგა — XIX-XX საუკუნეთა (1801-1917 წწ.) განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ქონების გადანაწილების პროცესის თანამდევი უარყოფითი მოვლენები დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. სწორედ ქონების გადანაწილების შედეგი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების სავალალო თანაფარდობა.

**პოლიტიკური ელიტა** (არისტოკრატიის, სამღვდელოების, გლეხობის, მუშების, ვაჭრების წარმომადგენლები) მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით როდი იყო გამსჭვალული. მასში წარმოდგენილი იყვნენ კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების მატარებელი მოღვაწეებიც. პოლიტიკური ელიტა აშკარად ორად იყო გახლეჩილი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ ელიტაში, თუნდაც 20-25 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, დიდი ცვლილებები მოხდა — კლასობრივი (პარტიული) ცნობიერება აშკარად ჩრდილავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური და ანარქისტული იდეებით იყო გატაცებული. შედარებით მცირე ნაწილი (ეროვნულ-დემოკრატები და უპარტიოები) ინარჩუნებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. ეს ცხადად იგრძნობოდა, როგორც



ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში, დამფუძნებელ კრებაში), ისე უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მთავრობაში).

**გლეხობის** უდიდესი ნაწილი კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების მატარებელი იყო. გლეხობაში დაბალი იყო პატრიოტული, მოქალაქეობრივი შემართება, შესაბამისად დაბალი იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. გლეხობის უდიდესი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ნაწილი კი სოციალისტ-რევოლუციონერებს უჭერდა მხარს. საერთოდ გლეხობის განწყობა სოციალისტური მოძღვრებიდან გამომდინარე, რადიკალურ-ექსტრემისტული იყო. ეს სენი გლეხობამ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში შეიძინა. გლეხობის განწყობილებაზე ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია პირველი მსოფლიო ომიდან სოფელში დაბრუნებული ჯარისკაცების აგიტაციამ. ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები სოციალური თანასწორობის იდეით იყვნენ შეპყრობილი. მათი დიდი ნაწილი ბოლშევიკი აგიტატორების როლს ასრულებდა და გლეხობას შეიარაღებული აჯანყების გზით მიწის ხელში ჩაგდებისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ამან კატასტროფულად დასცა არმიის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც ძირითადად გლეხობიდან კომპლექტდებოდა.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**(გაგრძელება იქნება)**

◉ ინფორმაცია

## ძალა ერთობაშია

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ სავსებით იზიარებს „მრეწველების“ მიერ 20 ოქტომბერს წამოყენებულ ინიციატივას საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბების შესახებ. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ეს არის საკითხი, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტია ერთიანია.**

**ზურაბიშვილის თქმით, თანამედროვე ისტორია ცხადყოფს, რომ საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი არ ამართლებს და ეს რეალობა, კიდევ ერთხელ, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივამაც დაადასტურა.**

**დავით ზურაბიშვილის განცხადებით, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.**

**საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ერთდროულად, 2008 წელს ჩატარდება.**

## ჩვენი რეაქცია

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკისა და რუსეთის დამაკავშირებელი გაზსადენის შესაძლო მშენებლობას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახური გამოეხმაურა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარეს ამ პროექტის განხორციელების შესახებ საქართველო საქმის კურსში არ ჩააყენებია.**

**„ცხადია, რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლისა და ცივილიზებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმების უხეში დარღვევით სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიის მცდელობა. როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაცია უკვე დაუფარავად განიხილავს „სამხრეთ ოსეთს“ საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად“, — აღნიშნულია განცხადებაში.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ თვალსაზრისი

# რაღა რუსული დათვის ხელის ბიჭის რეიტინგი და - რაღა ხრუშჩოვისა

**(მესამე გვერდიდან)**

ამდენად, დიდი ოპტიმიზმი ამ მხრივ ნუ გვექნება. რუსეთი ენერგეტიკას გაიტანს მსოფლიოში, მაგრამ მას ისევე მოექცევა როგორც გენერლები — ზარბაზანს. ვფიქრობ, მსოფლიო ადეკვატურად არ აფასებს იმ საფრთხეს, რასაც თავადვე უწყობს ხელს.

ვნახეთ, რუსეთი როგორ მოექცა ქართველებს, ის არც სხვა ეთნოსებს დაინდობს. რუსეთს სიამოვნებს, როცა მისი ეშინიათ. ასეთი პოლიტიკა ჰქონდა ჰიტლერსაც, მისმა საომარმა პოლიტიკამ კი ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ ჯერ ჰიტლერული გერმანია დაამხეს, მერე კი სულაც დაყვეს. გაყოფა აუცილებელი იყო იმიტომ, რომ დიდი გერმანიის იდეა აღმოფხვრილიყო და მას იმპერიული ამბიციები აღარ ჰქონოდა. რუსეთსაც იგივეს უზამენ. თუკი რუსეთმა აგრესია გააგრძელა, მაშინ ისიც უნდა დაიშალოს, რათა აღარ ჰქონდეს ეს ამბიციები. დაშლის პროცესი დაწყებულია ციმბირიდან, სადაც ჩინელები შედიან, კავკასიაში ელოდებიან, როდის დასუსტდება რუსეთი და ა.შ. ანუ, თუ სამხედრო-პოლიტიკურმა ელიტამ ასე გააგრძელა, მაშინ ის რუსეთს დაშლამდე მიიყვანს. დაშლილი რუსეთი კი ძალიან წყნარი, მშვიდობიანი პატარა ქვეყანა იქნება, რომელიც, ალბათ, ნორმალურად განაგრძობს არსებობას. ოღონდ, ამ ტიპის დიდი ქვეყნების დაშლას ყოველთვის საშინელებები სდევს თან. ალბათ, ჩვენთვისაც.

**— სწორედ რუსეთის პოლიტიკურ ნებას უკავშირდება ჩვენთვის ძალზე მტკივნეული საკითხის მოგვარება — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ხელისუფლება შეძლებს ეს პრობლემა ჯერ კიდევ დიდ რუსეთთან მოაგვაროს, თუ რუსეთის პატარა, მშვიდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უნდა დაველოდოთ?**

— „პატარა“ რუსეთამდე ლოდინი დიდხანს მოგვიწევს. ჯერჯერობით კი პუტინს გაუჭირდება სააკაშვილთან დიალოგზე წამოსვლა, რადგან სამხედრო ელიტა ასეთი კონტაქტის უფლებას მას არ მისცემს. ხშირად პუტინის აზრებს ახმოვანებს ივანოვი, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომელია მართალი: ივანოვი პუტინის აზრებს ახმოვანებს, თუ რასაც ივანოვი ამბობს — მერე პუტინი ვალდებულია ხოლმე, დაეთანხმოსო.

**— მსგავსი რამ ჩვენთანაც ხშირად ხდება, როცა თავდაცვის მინისტრი გაცილებით მეტის უფლებას აძლევს თავს, ვიდრე პრეზიდენტი.**

— ჰოდა, თუკი ჩვენში, ერთ ციდა ქვეყანაში, რომლის სამხედრო პოტენციალი ნამდვილად არ არის იმ ძალისა, რაც რუსეთშია, ოქრუაშვილი თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობს და პრეზიდენტს ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, მაშინ, წარმოიდგინეთ, ამხელა რუსეთში რა ხდება, სადაც სამხედრო ელიტას უზარმაზარი პოლიტიკური ძალა აქვს. ანუ, ოქრუაშვილის მოქმედება და მის მიმართ პოლიტიკური წრეების უძლურება, მიგახვედრებთ მაინც, რაც რუსეთში ხდება.

**— ბატონო რამაზ, რუსეთის ბოლოდროინდელმა აღვირახსნილობამ ქართველები შეურაცხყო, მაგრამ მსოფლიოში თავად რუსეთი დამცირდა. ასეთ ვითარებაში, გაბრაზებულ მეზობელთან ურთიერთობის რა მექანიზმია ჩვენთვის უპრიანი?**

— მისასალმებელია, რომ საქართველო რუსეთის ქმედებას მშვიდად შეხვდა და ამით ზნეობრივი უპირატესობა მოიპოვა! რუსეთის ინტელიგენციის ნაწილი საქართველოს ამართლებს. ეს ცხადყოფს, რომ ამ დაპირისპირებაში ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა. როგორ გამოვიყენებთ ამ ზნეობრივ გამარჯვებას პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ ასპარეზზე, სხვა საკითხია. ჩანს, თავშეკავე-



ბული პოლიტიკა მომგებიანი აღმოჩნდა.

რუსეთს ვერ გაურკვევია, როგორი უნდა იყოს. იცის, რომ აუცილებელია ევროპული სტანდარტები, მაგრამ უფრო კმაყოფილია, როცა ველურ პრინციპებზე აგებული ძალისმიერი ურთიერთობები აქვს. ანუ, რუსეთმა დღეს თავისი თავი უნდა იპოვოს და ამ გზაზე ერთ-ერთ პრობლემად საქართველო ამოუტივტივდა.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

◉ რით ვიხოცებით?

# უშმაკის საგზური



**სიკვდილს ვერავინ გაექცევა, დღეს იქნება თუ ხვალ, წლეულს თუ გაისად, მიქელ-გაბრიელი ვიღაცას ხელს აუცილებლად სტაცებს და საიქიოს გზას გაუყენებს. ეს ცხოვრებისეული რეალობაა, ჩვენი ყოველდღიურობაა.**

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის მიხედვით, ჩვენში 2003-ში გარდაიცვალა 46.055, 2004-ში კი 48.793 კაცი. ყველაზე მეტ ხალხს ხოცავს სისხლის მიმოქცევის დაავადებები. 2003-ში მან იმსხვერპლა 30.192, 2004-ში კი – 30.455 ადამიანი. საკმაოდ გვაზარალებს სუნთქვის ორგანოების დაავადებები (შესაბამისად, 1.703 და 3.991ძ, აგრეთვე საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები (2.225 და 1. 708ძ. დამაფიქრებელია ტრავმები და მოწამვლები (1.246 და 1.914ძ. და, ალბათ, ცხოვრებისეული გაჭირვების გამო შექმნილი, კლინიკური თუ ლაბორატორიული გამოკვლევების დროს წარმოჩენილი სიმპტომები, ნიშნები და ნორმებიდან გადახრები (1.434 და 2.317ძ.

უამრავი სიცოცხლე მიაქვს ახალწარმონაქმნებს, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებს, ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებს. აქ ციფრები არ გაგაოცებთ. მაგრამ ამ გაოცებას ვერ დამალავთ მაშინ, როცა მიადგებით გრაფას „ორსულობა, მშობიარობა და ლოგინის ხანა, აბორტით დამთავრებული ორსულობა". როგორც 2002, ისე 2003 და 2004 წლებში აქ ჩასმულია ერთი და იგივე ციფრი, – 21. ჩვენი დედები უკვე გაჩენილ ბავშვებს კლავენ და გაუჩენელს ასე მაგრად ინდობენ?

წელიწდეულში, სადაც არის ჩვილ ბავშვთა მოკვდინების ციფრები, სამწუხაროდ, არსად არ შეგხვდებათ ავტოკატასტროფების და თვითმკვლელობების მაჩვენებლები. ავარიები ხდება არა მარტო ნებისმიერ რაიონში, ნებისმიერ ქალაქში, არამედ შუაგულ თბილისში. ხალხიც ეწირება. გაიხსენეთ ორი ტრაგედია საზოგადოებრივი ტელევიზიის წინ. ხომ დაიღუპნენ ადამიანები? მერედა, რა დიდი ცოდვაა სტატისტიკურ მონაცემებში მათი შეტანა? არა სჯობია მოსახლეობას ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია, რათა გაფრთხილდეს, თავადაც არ შეემთხვეს იგივე?

ახლა, რაც შეეხება თვითმკვლელობებს. ჩვენი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მათი ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია. ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, რატომღაც გვეთაკილება (თითქოსდა, თავი გვეჭრებაძ თვითმკვლელობის აღიარება. ყველამ კარგად იცის, რომ ბევრი იკლავს თავს ფსიქიკური აშლილობის, ან ცხოვრებისეული გაჭირვების გამო. ვიცით, მაგრამ... ვმალავთ. მერე, ამით საქმე კივარი მოგვისპა? ცხადია, არა. იგი არსებობს და, ალბათ, კიდევ დიდხანს იარსებებს.

ადრე შინაგან საქმეთა სამინისტრო ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც მიუთითებდა თვითმკვლელობის მაჩვენებლებს. ახლანდელ სტატისტიკურ წელიწდეულში, სადაც არის თავი „გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით (ვიმეორებთ – გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით), – ვერ ნახავთ თვითმკვლელობას. რაღაც მიახლოებითი კი არის, მაგალითად, ფსიქიური და ქცევითი აშლილობები, ნერვიული სისტემის დაავადებები, ნორმებიდან გადახრები... ამით ხალხი იხოცება. მაშასადამე, რაღაც გვჭირს, რაღაც გვაწუხებს. მაშ, რაღას ვმალავთ?

ეს თვითმკვლელობები მარტო ჩვენში ხომ არაა. მსოფლიოში ყოველწლიურად თავს იკლავს ერთი მილიონი ადამიანი. სუიციდის რაოდენობით პირველ ადგილზეა ლიტვა, მეორეზე – რუსეთი, მესამეზე – ლატვია. მერე მოდიან – ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინა... საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ბოლო ადგილებზეა. ჰოდა, ჩვენც ზუსტად აღვრიცხოთ, ზუსტად დავიანგარიშოთ, პრევენციული ზომები განვახორციელოთ, სპეციალური პროგრამები შევიმუშავოთ, იქნებ ეს ცოტაც თავიდან ავიცილოთ, ათობით თუ ასობით ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინოთ.

პრევენციული ზომებიდან, ჩემი აზრით, უპირველესია უმუშევრობის შემცირება, ადამიანთა მასობრივი დასაქმება, ლუკმაპურის ფულის შოვნა. ხელისუფლების განცხადებით, ჩვენში უმუშევრობა აღწევს 14-15 პროცენტს, არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით კი 60-65 პროცენტს. ეს უზარმაზარი ციფრია. თვითდასაქმებულები, რომლითაც ოფიციალური წრეები ამაყობენ, ვერ უზრუნველყოფენ საარსებო მინიმუმის შოვნას, ოჯახის დაკმაყოფილებას. ამიტომაც ვარდებიან დეპრესიაში, ამიტომაც აწუხებთ ნერვული თუ ფსიქიკური დაავადებები, ამიტომაც იდგმება საბედისწერო ნაბიჯები. ახლა ქართველებს მასობრივად ერეკებიან გერმანიიდან, შვეიცარიიდან, საბერძნეთიდან, ავსტრიიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან, რუსეთიდან... სად წავიყვანოთ ამდენ ხალხს, რას შევთავაზებთ საიმედოს?

უბრალოდ, სირცხვილია, რომ ამ დალოცვილ ქართულ მიწაზე კაცი გაჭირვების გამო თავს იკლავდეს. ნამდვილად სირცხვილია!

**ბონდო გულიაშვილი.**

◉ ერიჰაა!

# კიტრის მწნილი... ინდოეთიდან

**რუსეთიდან გამოძევებულმა ერთ-ერთმა ახალგაზრდა კაცმა ტელევიზიით საჯაროდ განაცხადა: – რა ვქნა, აქ ცოტა ხანს მივდგებ-მოვდგები, თუ სამსახური ვიშოვე, ვიშოვე, თუ არადა, ისევ უცხოეთში გავიქცევიო.**

მე პირადად, მთელი გულით და სულით ვუთანაგრძნობ რუსეთიდან გამოძევებულებსაც და ესპანეთიდანაც, ავსტრიიდანაც და გერმანიიდანაც, მაგრამ... ნუთუ ასე საწანწალოდ გვაქვს მართლაც საქმე?

ჩვენ სხვაგან გავრბივართ, სხვები კი აქ მორბიან. ეგე, ჩინელები ავიღოთ. სადღეისოდ საქართველოში უკვე 50 ათასამდე ჩინელია. ისინი ცხოვრობენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში. მეტწილად ვაჭრობენ, მაგრამ არიან საყოფაცხოვრებო მომსახურებაში (მასაჟისტებად და პარიკმახერებადძ, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში (მოჰყავთ ბოსტნეული და მარცვლეულიძ. ისინი აშენებენ მინი-ქარხნებსაც, სადაც უშვებენ... ძმარს და საწებელს...

ჩვენ რა დაგვემართა, ხალხო, ხელები დაგვიდუნდა? განა ძმარი და საწებელი აქ ჩინელებმა უნდა დაგვიმზადონ? ბოსტნეული და მარცვლეული მათ უნდა მოგვიყვანონ? დალაქობა და მჭედლობა მათ უნდა გვასწავლონ?

პლასტმასის ვედროებს ირანიდან ვეზიდებით, რკინის ჩაქუჩებს – გერმანიიდან, ელექტროჩამრთველებს – თურქეთიდან... თუ ადრე ელმავლებსა და ავტომობილებს, ტრაქტორებსა და კატარღებს ვუშვებდით, ახლა „ვიკლიუჩატელი" და „შტეფსელი" ველარ გამოგვიშვია?

შედით ერთი ჩვენს მაღაზიებში და მოიკითხეთ კიტრის მწნილი. უმშვენიერეს ქილებს მოგართმევენ, რომლებსაც აწერია: დამზადებულია... ბულგარეთში, რუსეთში, ირანში გერმანიაში, ინდოეთში... საქართველოში?

საწყალი ბებიაჩემი სონა ისეთ კიტრის მწნილს ამზადებდა, მთელი ოჯახი მწნილსაც სიამოვნებით ახრამუნებდა და მწნილის წვენსაც მშვენივრად ხვრეპდა. მოკვდა ბებიაჩემი და თან გაიყოლა იმ კიტრის მწნილის რეცეპტი. რა, ყველას ბებია წავიდა საიქიოში?

ეტყობა, წავიდა. ამიტომაც ამიერიდან მჟავეს უნდა ველოდოთ ინდოეთიდან „პახმელიაზე" გამოსასვლელადაც და ლობიოზე მისაყოლებლადაც. ეს ყოფილა ჩვენი ბედი!

**ბადრი ღვინიაშვილი.**

◉ პური გაძვირდა





◉ აუჰ!

# ეს მამაა?

**როგორც ჩანს, საზღვარი არა აქვს კაცის გათახსირებას, გატიალებას, გაოხრებას. ასეთ დროს ძნელია სხვა სიტყვების მოძებნა, ფაქტის ცოტა შერბილება.**

ვინმე ბაჩუკი იოსელიანმა, დავით, ლექსო და რაულ ჩიტეიშვილების დახმარებით, ვაზიანის სამხედრო დასახლების სკოლიდან მოტყუებით გაიტაცა... საკუთარი შვილი – გიორგი იოსელიანი, რომელიც ბებიასთან და პაპასთან ცხოვრობდა. ჯერ თბილისში ჩაიყვანეს, შემდეგ ხაშურში. ბავშვის მეურვეებს ურეკვდნენ და 40 ათას დოლარს სთხოვდნენ... საქმეში პოლიცია ჩაერია და ბაჩუკი იოსელიანი თავის მსხვერპლთან ერთად აიყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებულს თავისუფლება 5-5 წლით აღუკვეთა. პროკურატურა 8-8 წელს ითხოვდა. ამიტომ უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის ისევ საქალაქო სასამართლოში დააბრუნა. აქედანვე ჩანს, რომ გამტაცებლებს სასჯელს აუცილებლად დაუმძიმებენ!

**სოსო გიორგაძე**

◉ ქრუანტელი

## როდის წამოვდგებით?

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ყოველთვის ჩაბმულია მცირე ბიზნესში. იაპონიაში, მაგალითად, ამ სფეროში დასაქმებულია ადამიანთა 90 პროცენტი. აქ ყოველწლიურად იხსნება 25.000 პატარა საწარმო, პოლონეთში – 80.000, საფრანგეთში – 440.000. საქართველოში კი მცირე ბიზნესი ფეხზე ახლა დგება.

## ინტერნეტშიც ეჯავრებათ

მსოფლიოს მასშტაბით, ინტერნეტში ინგლისურ ენაზე მუშაობს მომხმარებელთა 30,1 პროცენტი, ჩინურზე – 13,8, იაპონურზე – 8,3, ესპანურზე – 7,5, გერმანულზე – 5,6 პროცენტი. 2,3 პროცენტით ათეულში რუსულმა ენამ ბოლო ადგილი დაიკავა.

## ქალია თუ ქაჯი?

ბულგარეთში ციხიდან გაუშვეს სიკვდილის პირას მისული ქალი, რომელიც სასჯელს იხდიდა შვილის მკვლელობისთვის. მას კიბო განუვითარდა და 15-წლიანი პატიმრობა აპატიეს. მივიდა თუ არა შინ, ქმარი მოკლა. დაპატიმრების შემდეგ განაცხადა, – თუ კიდევ გამიშვებთ, მეორე ვაჟსაც მოვკლავო.

## შორს... ყველასგან

2006 წლის 9 თვეში რუსეთის მაგისტრალებზე მოხდა დაახლოებით 113 ათასი ავარია, რომლის დროსაც დაიღუპა თითქმის 12 ათასი კაცი.

## ვინ დასწყევლათ?

მსოფლიოში ყველაზე დაბალტანიან ადამიანად ითვლება 14 წლის ნეპალელი ბიჭი ეჰაბენდრა. მისი სიმაღლე 50, 8 სანტიმეტრია, წონა კი – 4,5 კილოგრამი. მისივე ასაკის მოზარდია იორდანიაშიც, – 64,7 სანტიმეტრი სიმაღლითა და 10,1 კილოგრამი წონით.

## მხოლოდ ერთი!

რუსეთში ჩატარებული 625 კაცის საინტერნეტო გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ერთი შვილის ყოლის მომხრეა 19 პროცენტი, ორისა – 37 პროცენტი, სამისა – 19 პროცენტი. 16 პროცენტი ფიქრობს ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ჯერ საიმისოდ არც დრო აქვს და არც ფული. 10 პროცენტი კი აცხადებს, რომ უშვილოდაც თავს მშვენივრად გრძნობს.

## ამას პატიმარი ჰქვია?

რომის ყველაზე დიდ საპყრობილეში გაიხსნა სატელეფონო ცნობარის ფილიალი. კომპიუტერის ეკრანებთან სხედან პატიმრები და პასუხობენ მოქალაქეთა შეკითხვებს. ყოველ შემოსულ ზარზე თითოეულ პატიმარს 12 ცენტი ერიცხება და დღის ბოლოს საშუალოდ 25 ევრო უგროვდება.

## აკვნიდანვე რიგში

ამჟამად მოსკოვში ფუნქციონირებს 1838 საბავშვო ბაღი, სადაც მოთავსებულია 264.000 პატარა. ეს მოთხოვნილების მხოლოდ 60 პროცენტია. ყოველ 1000 მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს 41 ადგილი, არადა, მოდის – 28. ამის გამო დედაქალაქის 43 რაიონში უდიდესი რიგებია. სხვათა შორის, 1991 წელს მოსკოვში ყოფილა 2924 საბავშვო ბაღი.

## თარგმანის ახალი თეორია

**ახლახან ქართველმა მკითხველმა მიიღო პროფესორ ინესა მერაბიშვილის ორი ახალი ფუნდამენტური მონოგრაფია: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ და „თარგმანი – კულტურათა დიალოგი.“**

**ეს ორივე ნაშრომი ერთ კომპლექტში გამოიცა, როგორც თარგმანის ახალი თეორია, თუმც თითოეული მათგანი დამოუკიდებლად შეიძლება იქნას წაკითხული და გააზრებული. რედაქტორები არიან პროფესორები დალი ფანჯიკიძე და ლალი კერესელიძე.**

**პირველი მონოგრაფია უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს გასცემს პასუხს, საკუთრივ ისეთს, თუ როგორ უნდა ითარგმნოს პოეტური ტექსტი მისი მრავალპლანიანი შინაარსის მაქსიმალური შენარჩუნებით, რაც ჩვენი ღრმა რწმენით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების სასახელო ტრადიციების შემდგომ განვითარებას. ინესა მერაბიშვილი, მიმოიხილავს რა თარგმანმცოდნეობის ისტორიის განვითარების ძირითად ეტაპებს, წერს, რომ ამჟამად, სამყაროს ინტეგრაციის პირობებში თარგმანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი თეორიულ-პრაქტიკული განვითარება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად რჩება.**



ავტორი თავის მონოგრაფიაში განიხილავს უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხებს მხატვრული თარგმანის სფეროში, ახდენს მათ საფუძვლიან, სკრუპულოზურ ანალიზს და გვთავაზობს ფაქტობრივად ახალ მეთოდს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მთარგმნელს, იქნება ეს უცხოური ენიდან მშობლიურ ენაზე თარგმნა თუ პირიქით.

არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სპეციალისტებისა და ექსპერტების მიერ ზემოაღნიშნული ნაშრომი მიჩნეულია მნიშვნელოვან შენაძენად ენათმეცნიერების დარგში, რასაც ადასტურებს მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა შეფასებები და გამონათქვამები ქ-ნ ინესას ნაშრომის შესახებ. დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: „თქვენ შეძლით ჩაგეხედათ პოეტური ტექსტის სტრუქტურულ და სემანტიკურ სიღრმეთა მრავალფეროვნებაში და მოგეხდინათ მათი მნიშვნელოვანი სინთეზი“, – წერს მსოფლიოს ცნობილი ლინგვისტი, თანამედროვე თარგმანის თეორიის მამამთავარი, პროფესორი იუჯინ ნაიდა. „თქვენი გამოკვლევა, რომელშიც არაერთი რთული საკითხის გადაჭრა შეძლით, მდიდარი და მრავალფეროვანია, სიამოვნებით გავეცანი თქვენს მიერ ჩატარებულ ანალიზს“, პიტერ ნიუმარკი (დიდი ბრიტანეთის ლინგვისტიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი). „მაქვს ყველა საფუძველი განვაცხადო, რომ ინესა მერაბიშვილის ნაშრომი ღირებულ წვლილს შეიტანს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენაში“, ნორმან პეიჯი (ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორი). „ობიექტური ღერძი“ ქვეტექსტისა მართლაც ბრწყინვალე მიგნებაა! ახალი სისტემის დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევაა თარგმანის განვითარების საქმეში“, მაიკლ გასენმაიერი (დუისბურგის უნივერსიტეტის პროფესორი).

ალბათ ღირს მოკლედ მოვუთხროთ მკითხველს, თუ რა წარმოადგენს ამ „ბრწყინვალე მიგნებას“ და „უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას თარგმანის განვითარების საქმეში“. როგორც მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალა ნათელყოფს, ავტორს სინათლე შეაქვს თავად ტექსტის ლინგვისტიკაში იმ თვალსაზრისით, რომ ტექსტის ძირითად ერთეულად სიტყვას აცხადებს (იმ არსებული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ტექსტის ძირითად ერთეულად წინადადებასა თუ გამონათქვამს ასახელებენ). რაც შეეხება თავად სიტყვას და მის მნიშვნელობას, აი სწორედ აქ ხდება წიაღისეული ანალიზის ჩატარება და მისი ახალ რაკურსში წარმოდგენა: „ტრადიციულად სიტყვის მნიშვნელობას განიხილავენ, როგორც სამი ძირითადი კომპონენტის, საკუთრივ, ნომინაციის, სიგნიფიკატის ანუ ცნებისა და დენოტატის ანუ გარესამყაროს საგნის ურთიერთობის შედეგს. არსებულისაგან განსხვავებით ი. მერაბიშვილი სიტყვის მნიშვნელობის მესამე კომპონენტად წარმოგვიდგენს არა თავად იმ ობიექტს, რომელსაც სიტყვა აღნიშნავს ექსტრალინგვისტურ სამყაროში, არამედ ამ საგნის გრძნობად შთაბეჭდილებათა ანაბეჭდს, რომელსაც ის ლინგვისტურ ხატს უწოდებს (ხატის გნოსეოლოგიური თეორიის განვითარების საფუძველზე). კვლევამ ნათელყო, რომ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის განვითარების შემთხვევაში ცვლილებებს სიგნიფიკატი განიცდის, მაგრამ ხატი მუდამ უცვლელი რჩება, რაც არის კიდევ პირობა სიტყვის ხატოვანებისა. როგორც ი. მერაბიშვილი აღნიშნავს, თარგმანის თვალსაზრისით სიტყვაში ხატის არსებობას არსებითი მნიშვნელობა მიენიჭება იმდენად, რამდენადაც მისი შენარჩუნება აუცილებელი პირობაა დედნისეული ტექსტის შინაარსობრივი მოცულობის ხელახლა ასამეტყველებლად. ამის ნათელი დადასტურებაა თავად გალაკტიონის პოეზია, საიდანაც მაგალითები უხვად აქვს მოტანილი ავტორს, ბუნებრივია, მათი თარგმანში რეალიზაციის მიზნით. თუ გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებები ითარგმნა მხოლოდ აზრის გამოტანის გზით და ხატი არ იქნა შენარჩუნებული, მაშინ ნათარგმნი ტექსტი დაკარგავს გალაკტიონისეულ ხიბლსა და სიცხადეს და ერთიანი შინაარსიც ხელიდან გაგვისხლტება. მაგალითისათვის დავასახელოთ „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“ („ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“) და ამ შესიტყვების არსებული რუსული თარგმანები: „мучта, отвергнутая былью“ да „побледнела мечта отсраненная“, რომელთაც ავტორი მისეულ ვარიანტს უპირისპირებს: „мучта, сплошь имчерканная вещей отказом“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თარგმანის ფენომენზე არც ჩვენს ქვეყანაში და არც საზღვარგარეთ ამგვარი ყოველმხრივი გამოკვლევა არ ჩატარებულა, რაც მით უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს და მნიშვნელოვანს ხდის მეცნიერი ქალბატონის ამ უაღრესად საყურადღებო ნაშრომს და მისეული კვლევის შედეგებს. ავტორის ყურადღების ცენტრშია მთლიანი ტექსტი და მისი შინაარსი. ი. მერაბიშვილმა ცნობილი მეცნიერის ი. გალპერინის მიერ შემოთავაზებული მეთოდი, ტექსტის შინაარსობრივ კატეგორიათა დადგენას რომ გულისხმობს, პოეტურ ტექსტს მიუყენა და ამით პოეტური ტექსტის ინტერპრეტაციის ახალი გზები დასახა, რაც სიახლეს წარმოადგენს თარგმანმცოდნეობაში. ამდენად, არანაკლებ ღირებულ მიგნებად იქცა ქვეტექსტის ობიექტური ღერძის გამოვლენა, რაზეც მიანიშნებს პროფესორი მაიკლ გასენმაიერი. საყურადღებო, რომ ტექსტის ლინგვისტიკაში ქვეტექსტს სუბიექტურ კატეგორიად განიხილავენ. არსებული შეხედულების საპირისპიროდ პროფესორი მერაბიშვილი დამაჯერებულად ასაბუთებს ქვეტექსტის ობიექტური ღერძის არსებობას და ამდენად მეცნიერულ საფუძველს ქმნის ერთი მხრივ მის სწორ ტექსტობრივ ინტერპრეტაციისა, ხოლო მეორე მხრივ, მის თარგმანში რეალიზაციისათვის.

მონოგრაფიის პირველ თავში, რომლის სათაურია „თარგმანის ლინგვისტიკა და მისი ამოცანები“, ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს თარგმანმცოდნეობის, უპირატესწილად კი მხატვრული თარგმანის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე საზღვარგარეთ, აანალიზებს ცნობილი ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლებისა და მეცნიერების შეხედულებებს და ცალკეულ საყურადღებო გამონათქვამებს თარგმანის პრობლემებზე. ნაშრომის ამ ნაწილში ნათლად ჩანს, თუ როგორ ილაშქრებს დიდი ილია მდარე ღირებულების თარგმანის წინააღმდეგ, კრიტიკის ქარცეცხლში აქცევს რა ასეთი თარგმანის შემსრულებელ ცალკეულ პიროვნებებს. ამასთან დაკავშირებით ქ-ნი ინესა წერს: „ილიასეული სიმკაცრე და მომხოვნელობა თარგმანის საქმისადმი დღესაც აქტუალურია. ილიამ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურული ანალიზის განვითარების საქმეში და პრაქტიკულად დასაბამი მისცა თარგმანის რეალურ კრიტიკას საქართველოში. იგი ვერაფრით ვერ პატიობდა თავად რევაზ ერისთავს* მდარე და უხარისხო ენის დამკვიდრებას თარგმანში, რამეთუ მშვენივრად იცოდა, რაოდენ დიდი იყო თარგმნილი პოეზიის გავლენა მშობლიურ ლიტერატურაზე. „აბა მოდი და აქ უთავბოლოდ აშენებული სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინ ჩივის?“ – წერდა აღშფოთებული ილია“. ქ-ნი ინესა განაგრძობს: „ილიას მკაცრი დამოკიდებულება თარგმანისადმი უთუოდ გაპირობებული იყო მისი მისწრაფებით, რაც შეიძლება მეტი მაღალმხატვრული ნაწარმოები შემატებოდა მშობლიურ მწერლობას. ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ქართული თარგმანი არ იქნებოდა ხელოვნური და არაბუნებრივი დედანზე მიჯაჭვულობის გამო (როგორც ეს მაშინ ხდებოდა). დიდი მწერალი გუმანით გრძნობდა ენათა სხვაობაში კულტურათა განსხვავებას, რომლის ჯეროვნად გადმოტანას თარგმანში მხოლოდ რჩეულნი თუ შეძლებდნენ“.

გარდა იმისა, რომ ქ-ნი ინესას თავის ნაშრომში მოჰყავს ცნობილ სპეციალისტთა და სწავლულ ექსპერტთა მოსაზრებები და შეხედულებები თარგმანის პრობლემების შესახებ, იგი თვითონაც ძალზე შთამბეჭდავად და ხატოვნად ახდენს ამ საკითხის დეფინიციას, განმარტავს მთარგმნელის დანიშნულებას: „მთარგმნელმა ხელახლა უნდა დახატოს სამყაროსა და ეპოქის სურათები თავისი ფუნჯით, დახატოს როგორც მხატვარმა და გააცოცხლოს როგორც მსახიობმა, რათა არტისტულად განაცდევინოს მკითხველს საკუთარ განცდათა და პრიზმაში დანახული სახეები, აღმოცენებული გრძნობები თუ შთაბეჭდილებები“. აქვე ქ-ნ ინესას მოჰყავს რუსი მეცნიერის კორნეი ჩუკოვსკის შთამბეჭდავი სიტყვები რუსი მთარგმნელი ლევიკის შესახებ: „ლევიკი არა მარტო თარგმნის იამბებს – იამბებით, ქორეებს – ქორეებით, არამედ აღმაფრენას – აღმაფრენით, მშვენიერებას – მშვენიერებით“. – პირობად კი რჩება, – დასძენს ამასთან დაკავშირებით ქ-ნი ინესა, – მთარგმნელის განსწავლულობა, ღრმა ანალიზის უნარი და მძიმე, შეიძლება ითქვას, კატორღული შრომა, რომელიც კომპენსირებულია ადამიანურ განცდათა და აზროვნების მწვერვალთა დაპყრობის დიდი სიხარულით.

პროფესორი ინესა მერაბიშვილი მთარგმნელის შრომას შემთხვევით არ ადარებს მწვერვალთა დაპყრობას. ავტორი შეგვახსენებს, რომ ისტორიას ახსოვს მრავალი მაგალითი სკეპტიკური დამოკიდებულების მთარგმნელის მიმართ. მისი აზრით, ყველა მთარგმნელი ვერ იქნება დედნის ავტორის ბადალი საკუთარ მწერლობაში, მაგრამ მთარგმნელობითი საქმიანობით ის ძალიან მნიშვნელოვან კვალს ტოვებს თავისი ერის კულტურის ისტორიაში. ამის დასადასტურებლად ივანე მაჩაბლის დასახელებაც საკმარისია. ამიტომ წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი: „ნიჭიერი მთარგმნელი გაცილებით უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ორიგინალური და დამოუკიდებელი პოეტი“.

ქ-ნი ინესა ცნობილია როგორც გენიალური ბაირონის შემოქმედების დაუღალავი მკვლევარი და მისი განუმეორებელი პოეზიის საუცხოო მთარგმნელი. ინგლისელები და ევროპელები, ბუნებრივია, ვერ შეაფასებენ ბაირონის მისეულ ქართულ თარგმანებს, მაგრამ მაღალ შეფასებას აძლევენ მის კვლევას ბაირონოლოგიისა თუ თარგმანის სფეროში, თუმც ქ-ნი ინესა მერაბიშვილი მათ უკვე გაიცნეს, როგორც გალაკტიონის პოეზიის ინგლისურენოვანი მთარგმნელი, მით უმეტეს, რომ ეს ორენოვანი წიგნი დღეს უკვე ბრიტანეთში იყიდება.

გაზეთის მოცულობითი შეზღუდვების გამო ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვრცლად წარმოვაჩინოთ და გავაანალიზოთ ქ-ნი ინესას მიერ მოძიებული და შესაბამისი მეცნიერული არგუმენტაციით განმტკიცებული უაღრესად საინტერესო მასალები. ამდენად, მხოლოდ ზოგადი მინიშნებით შემოვიფარგლებით.

წიგნის პირველი თავი „მწუხრისა ზარის“ წარმომავლობას ეძღვნება. საყოველთაოდ ცნობილია რუსული რომანსი „Вечерний звон“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილი საბჭოეთის ხალხებში, განსაკუთრებით კი საქართველოსა და რუსეთში. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, პროფესორი ა. კალინოვსკი და პროფესორი ამ ხახანაშვილი თვლიდნენ, რომ ეს ლექსი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელის, 1044 წლიდან ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, გიორგი მთაწმინდელის კალამს ეკუთვნის. მ შეხედულებას არ იზიარებდა ცნობილი ქართველი მკვლევარი კორნელი კეკელიძე, რომელმაც ის რუს პოეტსა და მთარგმნელს ივან კოზლოვს მიაკუთვნა.

ქ-ნი ინესა მერაბიშვილი წერს, რომ ივან კოზლოვი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ამ ლექსის ერთადერთი ავტორი, რადგან ეს ლექსი ჯერ კიდევ 1818 წელს შევიდა ირლანდიელი პოეტის ტომას მურის კრებულში, ცხრა-ათი წლით ადრე, ვიდრე ლექსს კოზლოვი გამოაქვეყნებდა. ავტორი თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ამტკიცებს ლექსის ქართულ წარმომავლობას, რაშიც ძირითადად ქართულ-ბრიტანულ და რუსულ-ბრიტანულ ურთიერთობებს ეყრდნობა. პოეტური ტექსტის გვერდით მელოდიის ქართული წარმომავლობის წარმოსაჩენად კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩენა დუბლინის მუსიკალური არქივის მასალების მოძიება.

არანაკლები საარქივო ძიების შედეგია წიგნის მეორე თავი, რომელიც ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულიად ახალ ფურცელს ეძღვნება. ამ აღმოჩენისა და კვლევის ავტორი ქ-ნი ინესა მერაბიშვილია.

ქართველი პროფესორის, ევროპული მასშტაბის მეცნიერისა და მთარგმნელის ინესა მერაბიშვილის ეს ორი მონოგრაფია შესანიშნავი საჩუქარია ენათმეცნიერებისა და თარგმანის დარგებში მოღვაწე პირთათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ყოველივე ქართულ-ბრიტანული კულტურული ურთიერთობების ამსახველი ახალი და მნიშვნელოვანი ფურცელია. წინამდებარე სტატიას კი ირლანდიელი სწავლული ქალბატონის, მერი კლოფილდის იმ სიტყვებით დავასრულებთ, რომელიც მან ქ-ნი ინესა მერაბიშვილის მისამართით გამოთქვა:

„ყოველივე, რასაც აკეთებთ, იქნება ეს ბაირონის შემოქმედების გაცნობა საქართველოსთვის თუ ტომას მურის „მწუხრის ზარების“ ქართული წარმოშობის მტკიცება, არის ძალზე ამაღელვებელი, და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, არის ქვეყნებს შორის ხიდის შენების დიდი საქმე. ჩვენ კიდევ მეტს ველით თქვენგან“.

**ლაშა დადიანი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, მთარგმნელი.**

# ქალბატონ ინესა მერაბიშვილის დიდი რუდუნებისა გამო




* იგულისხმება რევაზ ერისთავის მიერ სუსტად შესრულებული თარგმანი ი. კოზლოვის „შეშლილისა“.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №73

თემის გაგრძელება

# როდის მოვიდა მოაზროვნე ადამიანი?..

## ანუ როგორ აიხსნება ინტელექტის წარმოშობის საიდუმლო

***უპასუხოდ დარჩენილ და უკვე რიტორიკადქცეულ კითხვათა შორის ისიც გახლავთ: განვითარებულმა ინტელექტმა გახადა თუ არა ადამიანი უფრო ბედნიერი?***

***ვინაიდან ბედნიერება ისე, როგორც უბედურება, სუბიექტური აღქმის სფეროა და მრავალი სხვა პირობითობაც ახლავს, გარდასული დროის და ეპოქების ანალიზისთვის კონკრეტიზაციას, მატერიალურ საბუთებს არჩევენ. მეცნიერული ტაქტი ზოგჯერ რეალურს ჰიპოთეზად განიხილავს მაშინაც კი, როცა საკითხის დაყენება საკითხის გადაწყვეტის ტოლფასია.***

***ყოველი წამი, რომელსაც სინამდვილეში ვერავინ შეაჩერებს, ისტორიაში იკარგება და ითქმება. ძალიან ძნელდება შემდგომ მისი თავდაპირველი სახით გამოხმობა.***

***არქეოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ საგნობრიობაზე დამყარებული მეცნიერებაა, ალბათ კონკრეტულ ექსპონატზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მეცნიერულ ალღოს, განზოგადების უნარს და აზროვნების მასშტაბებს გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ თამამ ფანტაზიასაც, აუხსნელ საიდუმლოსთან დაკავშირების შესაძლებლობების ძიებას...***

***რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ათასწლეულების იქით გადასროლილი მოვლენები დინამიურად გვახსენებს თავს. თანამედროვეობის დაუძლეველი სურვილი, რაც შეიძლება მალე მიუახლოვდეს ძალიან შორეულს, ალბათ წარსულის, აწმყოსა და მომავლის გარდუვალ ერთიანობასაც გამოხატავს.***



„კვირაძალის“ წინა ნომრის პუბლიკაციაში **„ევოლუცია ურევოლუციოდ“** ევროპელი მეცნიერების სენსაციურ აღმოჩენებზე ვსაუბრობდით. საერთაშორისო ჯგუფმა ინგლისელი, ფრანგი და ებრაელი არქეოლოგების მონაწილეობით, დაახლოებით 100 000 წლის წინანდელი სამკაულები აღმოაჩინა აღმოსავლეთით ალჟირის მიდამოებსა და ისრაელში – სხულის გამოქვაბულსა და კარმელის მთაზე.

სრულიად სხვადასხვა გეოგრაფიული ლანდშაფტში ერთი და იგივე სტრუქტურის, ერთგვარად დამუშავებული სამკაულების პოვნა იმდროინდელი ადამიანების ქცევას, საგნობრივ სამყაროსთან დამოკიდებულებას და ინფორმაციების გადაცემის უნარს შიფრავს.

პუბლიკაციაში ცნობილი ინგლისელი მეცნიერის, პროფესორ **კრის სტრინერის** განმარტებაც იყო მოხმობილი: **„ის არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი სამკაულები. როცა ასეთ ნივთებს ვატარებთ, რაღაცის გამოხატვა გვსურს. მაგალითად, რომ ჩვენ ვფლობთ ძალაუფლებას ან სექსუალურ მიზიდულობას... ან ჩვენ მივეკუთვნებით საზოგადოების გარკვეულ წრეს... ან გვსურს თავი დავიცვათ ბოროტი ენერგეტიკული ძალებისგან... ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს 100 000 წლის წინათაც შეეძლოთ გადაეცათ ინფორმაციები სიმბოლოთა მეშვეობით, ეაზროვნათ აბსტრაქტულად...“**

საუბარია 100 000 წლის წინანდელ სამკაულებზე, რომლებიც ქვის წვეტიანი ინსტრუმენტით კუსტარულად არის დამუშავებული. ვარაუდობენ, რომ ისინი აქამდე ყველაზე უძველესად ცნობილ ექსპონატებზე 25-50 000 წლით ადრეულია.

რა იმალება ამ ბუნდოვან, დროის ბურუსით მოსილ ათასწლეულებში?

**შეიძლება თუ არა, ეს ნივთები ადამიანის ხელის ჩაურევლად შექმნილიყო? არქეოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს გამოთქმა „Lusus natura“ (ბუნების თამაში). ნუთუ ისინი ოდენ ბუნების სტიქიამ შექმნა და დიდი ხნის შემდეგ მოსული მოაზროვნე ადამიანის შემოქმედებას მიამსგავსა?**

* * *

ევროპელ მეცნიერთა აღმოჩენა დედამიწაზე „Homo Sapiens“-ის მოსვლის გადათარიღების შესახებ სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა და არა რიგით პოპულარულ პერიოდიკაში. გამოხმაურებები არაერთგვაროვანი ახლდა.

ფაქტებზე დაყრდნობილი მრავალი არგუმენტის გათვალისწინებით, უკვე აღიარებულია, რომ თანამედროვე ტიპის ადამიანი წარმოიშვა არა 40 000 წლის წინათ, როგორც განმარტავდა XX საუკუნის შუა პერიოდის ანთროპოლოგია, არამედ გაცილებით ადრე. თუნდაც გერმანელი ანთროპოლოგის გ. ბროისერის თუ სხვა ცნობილ მკვლევართა მიხედვით, ადამიანის თანამედროვე სახე თითქმის 100 000 წელიწადია არსებობს.

100 000 წლის ხანდაზმულობით ახასიათებენ ისრაელსა და ალჟირში ნაპოვნ ნიჟარის სამკაულებსაც, როგორც „Homo Sapiens“-ის, მოაზროვნე ადამიანის მატერიალურ მემკვიდრეობას, ანუ ინტელექტუალური არსებობის ერთგვარ ჩანასახებს.

**აქედან გამოდის, რომ ადამიანი თავისი გაჩენის დღიდან ინტელექტუალია?**

* * *

ჩვენ თანამედროვე ქართული მეცნიერების პოზიციითაც დავინტერესდით, კომენტარი **ეროვნული მუზეუმის დირექტორს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს** ვთხოვეთ.

ამასთან ერთად, **სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის აბრამ სტოლიარის** მოსაზრებანიც მოვისმინეთ.

ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, **ორი სხვადასხვა, რუსი და ქართველი ექსპერტის** განმარტება ერთი და იგივე ფაქტის გარშემო.

* * *

**დოქტორი აბრამ სტოლიარი: არსებულ აღმოჩენას არასაკმაო დოკუმენტაცია ახლავს. გაურკვეველია, რა საფუძველზე გაკეთდა დათარიღება.** მნიშვნელოვანია, სად ჩატარდა ეს ანალიზი – კემბრიჯში თუ რაიმე ადგილობრივ, ანალოგიური ტიპის სახელოსნოში. რამდენად დამაჯერებელია დროის ინტერვალი...

თუკი ეს სამკაულები მხოლოდ ცალკეული ნივთებია, ადამიანის ხელის ჩარევის დამარწმუნებელი ნიშნების გარეშე, შესაძლოა ბუნების შემოქმედებადაც მივიჩნიოთ.

თუკი ეს დაკავშირებულია ადამიანთან, მაშინ სად არის მისი საცხოვრებელი გარემო, კომპლექსი. სადღაც ხომ უნდა ეხოვრა მას, დაეგებმა ფართი, სხვადასხვა საგნებით ესარგებლა, ეკვება და შეექმნა თუნდაც, ეს სამკაულები.

**მეცნიერების განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ მისი რევიზია, აუცილებელია მყარი საფუძველი.** ყოველივე ახალი მივიღოთ „სენსაციად“ და სერიოზული კონტროლის გარეშე ვირწმუნოთ იგი, უბრალოდ შეუძლებელია. თითოეული დეტალი უნდა განვიხილოთ შესაძლებლობათა კოლოსალურ სისტემასთან მიმართებაში.

ადამიანის ბიოლოგიური ევოლუცია სოციალურ და კულტურულ ევოლუციასთან ერთად მიმდინარეობდა და ეს პროცესები ძალიან რთულად ერწყმოდნენ ერთმანეთს. თუკი ვილაპარაკებთ კულტურაზე, ანუ იმაზე, რაც ადამიანს შეუქმნია შორეულ წარსულში, არაფერი ხდება მოულოდნელად, სპონტანურად.

**ორი ქმედება, მარტივი და ოდნავ რთული, დროის კოლოსალური მანძილით იყო დაშორებული.**

კულტურული ევოლუციის პროცესი ეს თანმიმდევრული, ძალიან ნელი გზაა. ნელი და ხანგრძლივი, დროთა განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით თუ შეცდომებით, თაობათა ცვლით...

რატომ იყო ეს პროცესი ასეთი ნელი? იმიტომ რომ, „Homo Sapiens“-ის ტვინის ქერქი მხოლოდ ყალიბდებოდა... რაიმე იარაღის შესაქმნელად სამუშაო ოპერაცია ადამიანის ნებას, მის მიზანმიმართულებას უნდა დაფუძნებოდა.

ბევრი რამ, რაც „Homo Sapiens“-ის გონებრივ მოღვაწეობას საფუძვლად დაედო, თავდაპირველად ნეანდერტალელებმა აითვისეს. მათ ჰქონდათ ყველაზე ძველი ელემენტარული ნიშანთა სისტემა, რაც სულ ექვსი ნიშნითაა გამოხატული. სისტემამ შემდგომაც გააგრძელა არსებობა, განსაკუთრებით ზედა პალეოლითის ხანაში და განვითარდა „Sapiens“-თან ერთად...

მეცნიერული მაჩვენებლები, ანუ კულტურის ისტორიული მემკვიდრეობა რომ დავიწყებას მიეცეს რაღაც ახალი ჰიპოთეზების გამო, არაფრით არ შეიძლება და არანაირად არ არის გამართლებული.



აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „Sapiens“-ის წარმოშობის ნეანდერტალოგიური სტადიის კონცეფციის გადახედვა დაიწყო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში... საქმე იმაშია, რომ ადრეული ნეანდერტალელები, რომლებიც 200-250000 წლის წინათ აღმოცენდნენ, „Homo Sapiens“-ად გადაქცევის დიდ პოტენციალს ფლობდნენ.

თუმცა, მოგვიანებით ეს პოტენციალი დაიკარგა. დაწყებულმა გამყინვარებამ აიძულა ისინი ვიწრო სპეციალობა აეთვისებინათ, ეს იყო ცივ, ყინულოვან კლიმატთან, ექსტრემალურ პირობებთან შეგუება. განვითარების პროცესიც ჩიხში შევიდა.

რა თქმა უნდა, ეს ნაპოვნი სამკაულები ახალ კითხვებს ბადებენ ჩვენი ცივილიზაციის ადრეული პერიოდის შესახებ, რაზეც ალბათ არქეოლოგიური მეცნიერება სათანადო მტკიცებულებებით გასცემს პასუხს.

* * *

**დოქტორი დავით ლორთქიფანიძე: მართალი გითხრათ, ძალიან მესიამოვნა, რომ თქვენმა გაზეთმა ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე დაიწყო დისკუსია.**

მეცნიერება მხოლოდ აკადემიურ, სამეცნიერო კაბინეტებში არ უნდა იყოს გამოკეტილი, ის საზოგადოებისგან იზოლირებულად ვერ იარსებებს.

რაც შეეხება კონკრეტულ პუბლიკაციას – აღმოჩენის ავტორებს, ჩემს ევროპელ კოლეგებს პირადად ვიცნობ და მაღალი რანგის მეცნიერებად ვთვლი.

იხ. 9 გვ.

(მერვე გვერდიდან)

ჯერ ზოგადად, ჰომონიდების ჯგუფზე ვისაუბროთ. არქაული „Homo Sapiens“-ის არსებობა სადღაც 250 000 წლის წინათ იწყება. რა არის ჯგუფ „Homo“-ს დეფინიცია?

**თუკი აქამდე ითვლებოდა, რომ „Homo“-ს (ადამიანისძ პირველი ნიშანია ქვის იარაღის დამზადების უნარი, უკანასკნელი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ იარაღს შიმპანზეები და ორანგუტანებიც ამზადებდნენ...** „Homo“-ს არსებობას საზღვრავდნენ ასევე ტვინის მოცულობის მიხედვით. დმანისში ჩვენ 600 კუბ. სმ-ის ტვინი აღმოვაჩინეთ... აქ ბევრი დეტალია, რამაც აიძულა მეცნიერება სულ სხვაგვარად შეეხედათ რიგი საკითხებისადმი.

ამას წინათ ბარსელონაში გვქონდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა. სულ ხუთი მეცნიერი ვიყავით მიწვეულნი. მათ შორის გენეტიკოსი, ანთროპოლოგი, პალეონტოლოგი... იქ უნდა გვემსჯელა, **რა შეიძლება იყოს „Homo“-ს ზუსტი დეფინიცია,** ანუ დღეს ამ სფეროში საკითხები უფრო მეტად პრობლემურია და მასშტაბური, ვიდრე ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის წარმოშობის ისტორია. თუნდაც, მაგალითად, რა არის ჰომოერექტუსი – წელგამართული ადამიანი, ან ვთქვათ, ნეანდერტალელი... ფუნდამენტური პრობლემაა „Homo Sapiens“-ის გაჩენა. მისი მეცნიერული კვლევა მხოლოდ ანატომიით ვერ შემოიფარგლება. აქ აუცილებელია ბიოლოგიური ფაქტორის ჩართვა, ანუ გენეტიკური კოდის განსაზღვრა. ეს არის ყველაზე მძლავრი ელემენტი, ათვლის წერტილი. ამა თუ იმ ჯგუფის ანალიზისას მნიშვნელოვანი და არსებითი გენეტიკური კოდია. ევროპელი მეცნიერების ახალი აღმოჩენის დონე იმაშიც გამოიხატება, რომ არ არის მხოლოდ ანატომიით შემოფარგლული. საიდან წარმოიშვა „Sapiens“-ი? ერთი მოსაზრების თანახმად, რომელსაც მულტი-რეგიონალური ეწოდება, „Sapiens“-ი სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში წარმოიშვა, რასაც შემდგომ რასების წარმოშობასაც უკავშირებენ.

მეორე ე. წ. „ევას თეორია“ გახლავთ, ანუ ადამიანი ჩნდება, მხოლოდ აფრიკაში და შემდგომ სხვადასხვა ქვეყნებში პილიგრიმობს.

მოლეკულური ბიოლოგიის ბოლო მეცნიერული მონაცემები უფრო და უფრო აზუსტებენ, რომ **„Sapiens“-ს აქვს საკუთარი განსაკუთრებული ბიოლოგიური კოდი. ნეანდერტალელები კი სრულიად განსხვავებული ჯგუფი გახლავთ.**

* * *

ევროპელი მეცნიერების სტატიაში ნახსენებია სხულის გამოქვაბული, იქ სადაც ერთ-ერთი სამკაული იპოვეს. ეს ძალიან ცნობილი ადგილია, 30 წელია კვლევები მიმდინარეობს: იქ აღმოაჩინეს არქაული „Homo Sapiens“.

სტატიაში საუბარია იმაზე, თუ აღნიშნული სამკაულები რამდენად შეიძლება იყოს ადამიანის რიტუალური ყოფის გამომხატველი. საერთოდ, საიდან იწყება ადამიანის რიტუალი. ეს ძალიან საინტერესო თემაა და სწორედ ინტელექტთან არის დაკავშირებული. რამდენად არის ეს წმინდა რიტუალი და რამდენად შეიძლება იყოს შემთხვევითობა, ეს ცალკე საუბრის საგანია.

თქვენ გაინტერესებთ, შეიძლება თუ არა იყოს ის სამკაულები „Lusus natura“-ს (ბუნების თამაშისძ შედეგი. მინდა გითხრათ, რომ სტატიის ერთ-ერთი ავტორი ფრანჩესკო დ' ერიკო (ბორდოს უნივერსიტეტიდანძ არის მიკროსტრუქტურების ძალიან დიდი სპეციალისტი. ის ტრასეოლოგია, ანუ ადგენს ადამიანის გავლენის კვალს საგნებზე – ესა თუ ის ნაკაწრი ადამიანის ხელით არის შესრულებული თუ ცხოველის ან ბუნების ნამოქმედარია. მუშაობს დეტალური მიკროსკოპებით. ეს ძალიან რთული მეთოდოლოგიაა. ვთვლი, რომ ჩემი კოლეგების სტატიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ქცევაში ახალი მოტივაციების მოყვანისათვის, მოყვანილია ახალი არგუმენტები.



**ნებისმიერი ახალი არგუმენტი მეცნიერების შენაძენია.**

ჩვენი მეცნიერება ჯერჯეროობით იმ ეტაპზე არ არის, რომ მხოლოდ ზუსტი ფაქტებით ისაუბროს, მაგრამ ვფიქრობ, ამ ეტაპს ვუახლოვდებით.

იგივე დათარიღების საკითხი. დათარიღებაში აქ ზუსტი ფიზიკური მეთოდია გამოყენებული. მიუხედავად მნიშვნელოვანი შედეგებისა, ცნობილ არქეოლოგ **კლანს** გარკვეული ეჭვი შეაქვს ამ აღმოჩენაში. უფრო სწორად, ეჭვი შეაქვს გათხრების მეთოდიკაში. ეს არის ძალიან ჩვეულებრივი რამ, როდესაც არსებობს სხვადასხვა აზრი, მაგრამ ნამდვილი ოპონირება ყოველთვის მეცნიერულ არგუმენტაციას ემყარება.

ჩემი პოზიცია კონკრეტულ აღმოჩენასთან დაკავშირებით ასეთია: **„რატომაც არა?“ უფრო მეტიც, მე ვიტყოდი: ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩვენ სულ ამ მიმართულებით უნდა ვიფიქროთ.** ადამიანის ინტელექტის წარმოშობის და განვითარების თემა ყოველთვის იქნება აქტუალური.

იგივე დმანისს თუ დავუბრუნდებით, ვიტყვი, რომ დმანისმა მოგვცა საშუალება შევისწავლოთ პოპულაცია. აქ მინიმუმ ხუთი ინდივიდი გვყავს. **ნებისმიერ მეცნიერებას სტატისტიკა ეხმარება. რაც უფრო დიდი მონაცემთა ბაზა აქვს, მით უფრო მყარია მისი პოზიციები.** ჩვენ ვუახლოვდებით იმ პრობლემატიკას, რაც პალეო-ბიოლოგიასთან არის დაკავშირებული. მეცნიერება არ გულისხმობს მხოლოდ აღმოჩენის გახმაურების თვითმიზანს. **ფრანჩესკო დ' ერიკოს და კრის სტრინგერის კვლევები, ანუ ასეთი მიდგომები აფართოებს ნებისმიერი მეცნიერების დარგობრივ ხედვას...** და თუ ჩვენ წინასწარვე ვიტყვით, რომ ეს შეუძლებელია და არასწორი, არ მგონია, ამით პროგრესს შევუწყოთ ხელი.

**რაც შეეხება ინტელექტს. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ინტელექტი ჩაისახა ადამიანთან ერთად.**

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებაზე, ვიტყოდი, რომ **რელიგიურ ცოდნასა და მეცნიერულ ცოდნას შორის არც ისე დიდი შეუსაბამობაა.** მეცნიერების ამოცანაა დაადგინოს ანატომია, ბიოლოგია, ქცევა... მისი მოვალეობაა. ახალი საკითხები მოიპოვოს, დააყენოს, გადაჭრას... აქ მუდმივი დინამიკის პროცესია. მეცნიერება არ შეიძლება იყოს ინტერდისციპლინარული, მხოლოდ თეორიებზე დამყარებული. დღეს უკვე შეუძლებელია საზღვრების მოძებნა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის.

ევროპელი მეცნიერების ამ ახალ განაცხადთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ეს არის არა ახალი გათხრების შედეგები, არამედ ძველი კოლექციების მოძიება და თავიდან გადახედვა. ძველი ექსპონატების ახალი ინტერპრეტაცია.

კონტრარგუმენტები ძირითადად მასალის საიმედოობას ეფუძნება და დათარიღების საკითხს.

ვთვლი, რომ თანამედროვე მეცნიერებაში სწორი დათარიღება უკვე შესაძლებელია. ესა თუ ის ექსპონატი სპეციალურ ლაბორატორიებში სპეცომეტრებით თარიღდება. ტექნიკურ პროცესს, რა თქმა უნდა, თან უნდა ახლდეს ავტორიტეტული მეცნიერული არგუმენტაცია. საერთოდ, ჰიპოთეზების თავიდანვე უარყოფის მომხრე არ ვარ. ევროპელ მეცნიერთა ეს სტატია-გამოკვლევა არის კიდევ ერთი არგუმენტაცია იმ მნიშვნელოვანი ელემენტის შემოტანაზე, რაც ადამიანის ქცევას ეხება. **რატომაც არა!.. ამ გამოკვლევის მეცნიერული კონტექსტი ჩემთვის მისაღებია.** დოგმატიკა არასდროს უწყობდა ხელს ადამიანის ევოლუციის ურთულეს პროცესებს და მასთან დაკავშირებული მეცნიერული აზრის განვითარებას.



## ინტელექტუალური ფენის ბედი

### პარალელები იგივეობის ნიშნით

...ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის არისტოკრტიული საწყისის წინაამდეგ პლებეური ჯანყის ეპოქაში. ახალი ავტორიტარული ძალები კულტურის მიმართ აშკარა პლებეურ დამოკიდებულებებს იჩენენ, რაც რაოდენობის თვისობრიობაზე მბრძანებლობას ნიშნავს.

ავტორიტარიზმი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს კულტურის შემოქმედთა ფენას, კულტურულ ელიტას. **ეს კულტურული ელიტა სასიკვდილო აგონიას განიცდის. მისი მორალური და მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება.**

სოციალური დაკვეთა უპირველესად ტექნიკას, ეკონომიკას ეხება და არა იმას, რაც სულსა და სულიერებას უკავშირდება. სულიერი ენერგია გადაირთვება და იმისკენ მიემართება, რაც სრულიად არ ეკუთვნის სულიერების სფეროს.

**ინტელექტუალურ-კულტურული ელიტა სოციალურად სრულიად დაუცველია. მისი არსებობა მოკლებულია ყოველგვარ მატერიალურ ბაზას, ჰაერშია გამოკიდებული და ძალიან ხშირად გრძნობს, რომ ის არავის სჭირდება...**

**ნიკალაი ბერდიაევი**
(რუსი ფილოსოფოსი)

# თბილისში, შემოდგომაზე...



**თითქმის ორი კვირაა თბილისის ცენტრალურ უბანში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, ამ ხანდაზმულ ქალბატონს ვხედავთ. ის წვიმიან ამინდებშიც კი ღია ცის ქვეშ, შიშველ ასფალტზე წევს, ან ზოგჯერ გარინდებულად მუხლებზეა დამხობილი. არასდროს არაფერს ამბობს.**

როგორც ჩანს, მისი ყოფის ტრაგიკულობას გამვლელთა გაღებული მოწყალება, იქვე დაყრილი ხურდა ფული ვერ შველის.

**ხშირად ინტელექტუალური საუბრებით ჩავუვლით ხოლმე გვერდს ჩვენი ქალაქის ამ უსახლკარო, განწირულ ბინადარს... იქნებ მასზე ფიქრისას ე. წ. ინტელექტუალურმა სასოწარკვეთილებამაც** შეგვიპყროს, მაგრამ შეიძლება ხვალ დილით, ჩვენი თბილი სახლებიდან გამოსულებს, ეს ქალბატონი ცოცხალი აღარ დაგვხვდეს...

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

**გადაწყვეტილება №1-2**
**12 ოქტომბერი 2006 წელი**
**18.10.06წ.**
**010.260.000.35.101.009.472**

**ქ. თბილისის მთავრობის**
**სტრუქტურის დამტკიცების შესახებ**

**„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის თანახმად**

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მთავრობის სტრუქტურა თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის №8-36 გადაწყვეტილება.
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეჟაშვილი**
**საკრებულოს მდივანი თ. ქურხული**

**ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის**
**№1-2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი**

ა) ქ. თბილისის მერი;
ბ) ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი);
გ) ქ. თბილისის მერის მოადგილეები;
დ) კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი;
ე) ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
ვ) სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
ზ) ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
თ) ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ი) ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი;
კ) საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლ) განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
მ) სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის – თბილისის კორპუსის უფროსი;
ნ) მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ო) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
პ) საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ჟ) დასუფთავების საქალაქო სამსახურის უფროსი;
რ) მთაწმინდა–კრწანისის რაიონის გამგებელი;
ს) დიდუბე–ჩუღურეთის რაიონის გამგებელი;
ტ) გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი;
უ) ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი;
ფ) ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი;
ქ) დაბა წყნეთის გამგებელი.

**გადაწყვეტილება №1-3**
**12 ოქტომბერი 2006 წელი**
**18.10.06წ.**
**010.340.000.35.101.009.473**

**„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7-30 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

**„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად**

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7-30 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართ 1-ში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები და დამტკიცდეს თანახმად დანართი 1-სა.
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეჟაშვილი**
**საკრებულოს მდივანი თ. ქურხული**

**დანართი 1**

**ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები და თანამდებობათა დასახელება**

| № | [illegible] | [illegible] | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | [illegible] | 2800 | | | |
| 2 | [illegible] | 2300 | | | |
| 3 | [illegible] | 2200 | | | |
| 4 | [illegible] | | | 1600 | |
| 5 | [illegible] | | | | 1400 |
| 6 | [illegible] | 1400 | 1400 | | |
| 7 | [illegible] | 1400 | | | |
| 8 | [illegible] | 1200 | | | |
| 9 | [illegible] | | | 1000 | 800 |
| 10 | [illegible] | 1000 | 1000 | | |
| 11 | [illegible] | 1000 | | | |
| 12 | [illegible] | | | 1000 | |
| 13 | [illegible] | 1000 | | | |
| 14 | [illegible] | 700 | 700 | 550 | 550 |
| 15 | [illegible] | 650 | 650 | | |
| 16 | [illegible] | 700 | 700 | | |
| 17 | [illegible] | 350 | 300 | | |
| 18 | [illegible] | 410 | 410 | 400 | 400 |
| 19 | [illegible] | 330 | 330 | 320 | 320 |
| 20 | [illegible] | 270 | 270 | 260 | 260 |
| 21 | [illegible] | 200 | 200 | 200 | 200 |
| 22 | [illegible] | 250 | 250 | 240 | 240 |
| 23 | [illegible] | 200 | 200 | | |

**გადაწყვეტილება №1-4**
**13 ოქტომბერი 2006 წელი**
**19.10.06წ.**
**010.250.000.35.101.009.779**

**ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის**
**დებულებისა და სტრუქტურის**
**დამტკიცების შესახებ**

**„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად**

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულება და სტრუქტურა თანახმად 1 და 2 დანართებისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბერის №24-3 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ".
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეჟაშვილი**
**საკრებულოს მდივანი თ. ქურხული**

**ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბერი №1-4**
**გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი 1**

**ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**
1. ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი (შემდგომში-აპარატი) შექმნილია ქ. თბილისის საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.
2. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.
3. აპარატს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საკუთარი ბლანკი და ანგარიში ხაზინაში.
4. აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.
5. აპარატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

**თავი II**
**აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

**მუხლი 2.**
აპარატის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს სხდომების, საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, წევრების, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება.

**მუხლი 3.**
**აპარატის ძირითადი ფუნქციებია:**
ა) ქ. თბილისის საკრებულოს სხდომების მომზადება;
ბ) საკრებულოს ხმის დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიების მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა;
გ) აცნობს საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;
დ) საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაცია საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;
ე) საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიების სამართლებრივი, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტა;
ვ) საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტებისა და სხვა საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებების და შენიშვნების აღრიცხვა;
ზ) საკრებულოს წევრებისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა;
თ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიებისა და ფრაქციების დავალებების შესრულება;
ი) საკრებულოს ხელმძღვანელობისა და საკრებულოს წევრებისათვის საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადება, საკრებულოს მიერ მიღებული აქტების კრებულის მომზადება;
კ) საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში საჭირო საინფორმაციო მასალების მომზადება და საკრებულოს წევრებისათვის მიწოდება;
ლ) საკრებულოს სხდომების ოქმებისა და სტენოგრამების წარმოება;
მ) პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის გამოქვეყნება და გაშუქება;
ნ) საკრებულოს საგარეო ურთიერთობების, საკრებულოს ოფიციალური ვიზიტებისა და საპროტოკოლო ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
ო) დაცვის სპეციალურ სამსახურებთან ერთად, საკრებულოს შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის შემუშავება და განხორციელება;
პ) საკრებულოში ერთიანი საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;
ჟ) საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა;
რ) საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვიანობისა და საიდუმლო საქმის წარმოების უზრუნველყოფა;
ს) საკრებულოში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, მისი გამართულად მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;
ტ) სასამართლოებში საკრებულოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
უ) საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ფ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" – საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს საჭიროებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვა და განხორციელება;
ქ) სხდომის თავმჯდომარის დავალებით, საკრებულოს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;
ღ) კანონმდებლობით საკრებულოს გამგებლობას მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

**თავი III**
**აპარატის, მისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა და პერსონალი**

**მუხლი 4.**
1. აპარატს ხელმძღვანელობს ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსი (შემდგომში – აპარატის უფროსი).
2. აპარატის უფროსს, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.
3. აპარატის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსი.
4. აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს წევრები.
5. აპარატის უფროსი:
ა) წარმართავს აპარატის საქმიანობას, კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, წყვეტს აპარატის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;
ბ) წარმოადგენს აპარატს და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში აძლევს აპარატის წარმომადგენლობის უფლებას;
გ) პასუხს აგებს აპარატის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაზე;
დ) თვალყურს ადევნებს აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობაზე;
ე) განკარგულებით ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებს შორის და განსაზღვრავს იმ მოადგილეს რომელიც შეასრულებს აპარატის უფროსის მოვალეობას აპარატის უფროსის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;
ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს;
ზ) აპარატის სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან შეთანხმებით, ამტკიცებს აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

თ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის დებულებას, სტრუქტურას და საშტატო ნუსხას;

ი) კანონმდებლობის შესაბამისად, აპარატის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე დებს ხელშეკრულებებს;

კ) წარმართავს აპარატის საფინანსო საქმიანობას, პასუხს აგებს მის შედეგებზე, საკრებულოს ბალანსზე რიცხული ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განკარგავს აპარატის ფინანსურ სახსრებს;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას და მესამე პირებთან ურთიერთობებში გამოდის აპარატის სახელით;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წაახალისებს ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს შეუფარდებს აპარატის თანამშრომლებს;

ო) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს დაქვემდებარებულ მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. აპარატის უფროსის მოადგილეები უფლებამოსილებას ახორციელებენ აპარატის უფროსის განკარგულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში;

7. აპარატის უფროსი და მოადგილეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტით და წინამდებარე დებულებით.

**მუხლი 5.**

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულების განყოფილებების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსი.

2. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი.

3. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხს აგებს აპარატის უფროსის წინაშე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის;

ბ) აპარატის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

გ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

დ) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

ე) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) აპარატის უფროსს წარუდგენს თავის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამსახურეთა კანდინატურებს მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების მიზნით;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 6.**

აპარატის მოსამსახურეები ასრულებენ კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

## თავი IV

## აპარატის სტრუქტურული ერთეულები

**მუხლი 7.**

**აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:**

ა) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოები;

ბ) აპარატის უფროსის სამდივნო;

გ) იურიდიული განყოფილება;

დ) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება;

ე) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

ე) საქმისწარმოების განყოფილება;

ვ) კადრების განყოფილება;

ზ) საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;

თ) საგარეო ურთიერთობათა განყოფილება.

## თავი V

## აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები

**მუხლი 8.**

1. საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოთა ძირითადი ამოცანებია:

ა) საკრებულოს თავმჯდომარისათვის საკრებულოს შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოხსენებების საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადება;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება და აღრიცხვა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა ცალკეული დავალებების შესრულების კონტროლი.

**მუხლი 9.**

**აპარატის უფროსის სამდივნოს ძირითადი ამოცანებია:**

ა) აპარატის უფროსისათვის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) აპარატის უფროსის სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

გ) აპარატის უფროსის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) აპარატის უფორისის სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება და აღრიცხვა;

ე) აპარატის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულების კონტროლი;

ზ) აპარატის უფროსის თათბირებისა და მიღებების ორგანიზება.

**მუხლი 10.**

**იურიდიული განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადება, აქტების საბოლოო რედაქციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და ვიზირება;

ბ) საკრებულოს ნორმატიული აქტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და შენახვა;

გ) საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფა და მათთვის კონსულტაციების გაწევა.

**მუხლი 11.**

**საფინანსო-ეკონომიური განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) საფინანსო უზრუნველყოფის დაგეგმვა;

ბ) ფინანსური სახსრებისა და მატერიალურ საშუალებათა ხარჯვის აღრიცხვა და ანალიზი;

გ) კვარტალური და წლიური ბალანსების სხვა ანგარიშების შედგენა;

დ) საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს წევრთა ხარჯებისა და აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება;

ე) საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა სამივლინებო და სამეურნეო ხარჯების ანაზღაურება;

ვ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ – საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს საჭიროებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვა და განხორციელება.

**მუხლი 12.**

**სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) საკრებულოს შენობის ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;

ბ) საკრებულოს შენობაში სანიტარიული ნორმების დაცვა, განთავსებული ინვენტარის, ელექტროაპარატურისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა, მოვლა და დაცვა;

გ) საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნოლოგიური და სპეცდანიშნულების მოწყობილობების, ენერგომომარაგების, გათბობა-კონდიცირების, წყალმომარაგების, ხანძარსაწინააღმდგო სისტემის და სატელეფონო ქსელების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

დ) საკრებულოს სხდომების, შეხვედრების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების სამეურნეო უზრუნველყოფა;

ე) შენობა-ნაგებობის მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ორგანიზება და ტექნიკური ზედამხედველობა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა, საკრებულოს წევრთა, აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამეურნეო უზრუნველყოფა.

**მუხლი 13.**

**საქმისწარმოების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) აპარატში ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ბ) კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა, დანიშნულებისამებრ გაგზავნა;

გ) მოქალაქეთა მიღება, მათი წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების რეგისტრაცია და სტატისტიკური მონაცემების მომზადება;

დ) საკრებულოს სხდომების მომზადება და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს სხდომათა ოქმებისა და სტენოგრამების წარმოება;

ვ) საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რედაქტირება და კორექტირება;

ზ) საკრებულოს ხმის დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიების მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა;

თ) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, აცნობოს საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ;

ი) საკრებულოს სამართლებრივი აქტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და შენახვა;

კ) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაცია.

**მუხლი 14.**

**კადრების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ორგანიზება, საკადრო რეზერვის ფორმირება, მოხელეთა ატესტაციის ჩატარებისა და მათთვის საკლასო ჩინების მინიჭების ორგანიზება;

ბ) აპარატის მოხელეთა და მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა, შრომის წიგნაკების, ჩანართი ფურცლების აღრიცხვა-წარმოება, მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მოწმობების გაცემა და აღრიცხვა;

გ) კონსულტაციებს უწევს მოხელეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვების და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების პროგრამების მომზადების ორგანიზება;

ე) აპარატში სტაჟირების ორგანიზება, სტაჟირების გავლის კონტროლი;

ვ) მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების მომზადება;

ზ) საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო და სამხედრო აღრიცხვიანობის, საიდუმლო საქმისწარმოების სამუშაოთა წარმართვა.

**მუხლი 15.**

**საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) საზოგადოების ფართო ფენებისათვის ქ. თბილისის საკრებულოსა და მისი ორგანოების საქმიანობის გაცნობა;

ბ) საკრებულოს საქმიანობის გაშუქება;

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ინფორმირება საკრებულოში დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ;

დ) პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მომზადება;

ე) საკრებულოს საქმიანობის ამსახველი ყოველდღიური და ყოველკვირეული საინფორმაციო მასალების მომზადება;

ვ) საკრებულოში ჟურნალისტთა ყოველწლიური აკრედიტაცია;

ზ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზი, მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

**მუხლი 16.**

**საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ძირითადი ამოცანებია:**

ა) საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან ქალაქ თბილისის საკრებულოს ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება;

ბ) საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ურთიერთობების ორგანიზება;

გ) დაძმობილებულ და პარტნიორ ქალაქებთან ურთიერთობების წარმართვა და მათთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;

დ) საკრებულოში უცხო ქვეყნების დელეგაციების, ცალკეულ სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, დიპლომატიურ წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტებისა და საპროტოკოლო ღონისძიებათა ორგანიზების უზრუნველყოფა;

ე) საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს ოფიციალური დელეგაციების საზღვარგარეთ გამგზავრების ორგანიზება.

## თავი VI

## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 17.**

1. აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აპარატის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის № 1-4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი 2**



◎ ეროვნული ჩემპიონატი

# დღეს იმერ-„ამერის“ ჯახია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ტრადიციას არ ღალატობს – სვეტიცხოვლობის მსგავსად, თბილისობაზეც ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, IX ტურის შეხვედრებია დანიშნული. რას იზამ, ტყუილად არ ყოფილა ნათქვამი – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. სხვათა შორის, ამ მხრივ სფფ-ს ძველი თავკაცობაც „გამოირჩეოდა“. როგორც ჩანს, საეკლესიო და საერო დღესასწაულების უგულებელყოფა მემკვიდრეობითი სენი ყოფილა (სამწუხაროდ, იგივე შეიძლება ითქვას კალათბურთის ფედერაციაზეც).**

რაც შეეხება დღევანდელ მატჩებს, მათგან განსაკუთრებულ ინტერესს „ოქროსმაძიებელთა“ – „ზესტაფონისა“ და თბილისის „ამერის“ დუელი იწვევს, რომელიც იმერეთში გაიმართება.

მოგეხსენებათ, პრინციპულ მეტოქეებს ერთმანეთთან ძველი სათასო ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. ეს უფრო მასპინძლებზე ითქმის – მათ ხომ 13 მაისს დავით ყიფიანის თასის ფინალი დათმეს გლდანელებთან პენალტების სერიაში (ძირითადი დრო 2:2). ასევე გიორგი ჩიხრაძის გუნდის გამარჯვებით დასრულდა ახალი გათამაშების ჯგუფური რაუნდის ამასწინანდელი დაპირისპირება – 3:0. საფიქრებელია, რომ ფეროელთა კლუბში მესამედ დაბრუნებული გამოცდილი მწვრთნელი თემურ მახარაძე თავის შეგირდებს სარევანშო რეცეპტის გამოწერაში დაეხმარება.

**დღესვე ითამაშებენ:** „სიონი“-„ბორჯომი“, „კახეთი“-„ტორპედო“, „ლოკომოტივი“-„დილა“, „მერანი“-„დინამო“, „ოლიმპი“-„ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“-„ჩიხურა“.

◎ ფეხბურთი

# შოთა იწყებს და იგებს



**უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის სტარტი მორიგი გატანილი გოლით აღნიშნა „ალკმაარის“ კაპიტანმა შოთა არველაძემ. მან ანგარიში „ბრაგასთან“ საშინაო შეხვედრის 37-ე წუთზე გახსნა, მატჩი კი საბოლოოდ 3:0 დასრულდა. გაუწყებთ სხვა შედეგებსაც:**

**„ა“ ჯგუფი.** „ლივორნო“-„რეინჯერსი“ 2:3, „მაკაბი“-„ოსერი“ 3:1. ისვენებდა „პარტიზანი“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** „რეინჯერსი“-„მაკაბი“, „პარტიზანი“-„ლივორნო“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ბეშიქთაში“-„ტოტენჰემი“ 0:2, „ბრიუგე“-„ლევერკუზენი“ 1:1. ისვენებდა ბუქარესტის „დინამო“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** ბუქარესტის „დინამო“-„ბეშიქთაში“, „ტოტენჰემი“-„ბრიუგე“.



**„გ“ ჯგუფი.** „ალკმაარი“-„ბრაგა“ 3:0, „ლიბერეცი“-„სევილია“ 0:0. ისვენებდა „გრასჰოპერსი“.

**2 ნოემბრეს ითამაშებენ:** „ბრაგა“-„ლიბერეცი“, „გრასჰოპერსი“-„ალკმაარი“.

**„დ“ ჯგუფი.** „ოსასუნა“-„ჰერენვენი“ 0:0, „ოდენსე“-„პარმა“ 1:2. ისვენებდა „ლანსი“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** „ლანსი“ – „ოსასუნა“, „ჰერენვენი“ – „ოდენსე“.

**„ე“ ჯგუფი.** „ვისლა“-„ბლექბერნი“ 1:2, „ბაზელი“-„ფეიენოორდი“ 1:1. ისვენებდა „ნანსი“.

**2. ნოემბერს ითამაშებენ:** „ნანსი“-„ვისლა“, „ბლექბერნი“-„ბაზელი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „აუსტრია“-„ვარეგემი“ 1:4, „სპარტა“-„ესპანიოლი“ 1:2. ისვენებდა „აიაქსი“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** „აიაქსი“-„აუსტრია“, „ვარეგემი“-„სპარტა“.

**„ზ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“-„ჰაპოელი“ 2:0, „რაპიდი“ (ბუქარესტიძ-„პარი სენ-ჟერმენი“ 0:0. ისვენებდა „ბოლესლავი“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** „ჰაპოელი“-ბუქარესტის „რაპიდი“, „ბოლესლავი“-„პანათინაიკოსი“.

**„თ“ ჯგუფი.** „ნიუკასლი“-„ფენერბახჩე“ 1:0, „აინტრახტი“-„პალერმო“ 1:2. ისვენებდა „სელტა“.

**2 ნოემბერს ითამაშებენ:** „პალერმო“-„ნიუკასლი“, „სელტა“-„აინტრახტი“.

◎ კალათბურთი

# გაუმკლავდება შერმადინი ავიატორებს?



**მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი – თუნდაც შარშან ვინ წარმოიდგენდა, რომ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის ცენტრალურ მატჩად „ავიამშენი“-„მაქაბი“ მოინათლებოდა და არა „აზოტი“-„დინამო“ ან სტუდენტური დერბი თსუ-სტუ.**

არადა, „თეთრ-ლურჯთა “ და პოლიტექნიკოსთა დაბეჩავებას, ვითარების შესალამაზებლად გაახალგაზრდავებას რომ უწოდებენ ზოგ-ზოგიერთნი, სწორედ რომ ზემოთ ნახსენები კურიოზი მოჰყვა შედეგად. თუ ობიექტურნი ვიქნებით, არის ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდის პერსპექტიული ჭაბუკი გიგანტის – გიორგი შერმადინის ფაქტორიც, მაგრამ დასახელებულ წყვილში სრულფასოვანი შემსრულებლებით დაკომპლექტებული ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი მაინც გამოკვეთილ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს. სუპერლიგის ეს შეხვედრა სპორტის სასახლეში ხვალ 16 საათზე დაიწყება.

◎ კრივი

# თუ ტაისონს დავუჯერებთ



**„ადამიანებს, რომელთაც ეცოდებათ რინგზე ნაცემ-ნაბეგვი მოკრივის ხილვა, ვურჩევ, არ მოვიდნენ ამ შოუზე“, – განაცხადა ლეგენდარულმა მაიკ ტაისონმა პრესკონფერენციაზე, რომელიც იანგ სტაუნში (აშშ) თანამემამულე კორი სანდერსთან მის წუხანდელ ორთაბრძოლას მიეძღვნა.**

ერთხანს რინგს მოწყვეტილი „რკინის მაიკი“ მხოლოდ ამ შეხვედრით როდი დაკმაყოფილდება, ის აპირებს ორთაბრძოლების მთელი სერიის გამართვას ამერიკის რამდენიმე ქალაქში. „მინდა უბრალოდ გავმხიარულდე. ფული, რაც ბილეთების გაყიდვით შემოვა, მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება!“

◎ ჭადრაკი

# ბათუმში საათები ჩაირთო

**აჭარის დედაქალაქს ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის უმასპინძლია. განსაკუთრებით ბრძენთა თამაშის მოყვარულები არიან განებივრებული – ბათუმში ხომ სპეციალურად აშენდა ჭადრაკის სასახლე. სწორედ აქ დაიწყო 10-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 59 ქვეყნის 793 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის – 69 გოგონა და 102 ვაჟი საქართველოდან. შეჯიბრების ორგანიზატორთა ცნობით, სტუმართა საერთო რაოდენობა 1500-ს აჭარბებს. მარტო ინდოეთიდან ასზე მეტი ადამიანი გვეწვია. ასე რომ, რუსების თავგამოდებამ – საქართველოში არასტაბილური ვითარებაა, იქ არ ჩახვიდეთ, შვილები არ დაღუპოთო – შედეგი ვერ გამოიღო. მხოლოდ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა დაწყვიტეს გული თავიანთ შვილებს.**

ტურნირი ბათუმში 10 დღეს გასტანს. 24 ოქტომბერს მოჭადრაკეები დაისვენებენ, სამაგიეროდ, 23 და 25 ოქტომბერს ორ-ორ პარტიას ითამაშებენ. გამარჯვებულთა გამოსავლენად კი სულ 11 ტური გაიმართება.



მსოფლიო პირველობა ბათუმის დრამატულ თეატრში გაიხსნა საზეიმოდ. სტუმარ-მასპინძლებს მიესალმნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ მახარაძე,** ფიდეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი **გიორგიოს მაკროპულოსი**, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი,** შეჯიბრების მთავარი მსაჯი **ნანა ალექსანდრია,** საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი**, რომელმაც შეჯიბრება გახსნილად გამოაცხადა.



ასე რომ, ბათუმის ჭადრაკის სასახლეში საათები ჩაირთო. პირველი ტური ზოგიერთი ფავორიტისთვის უიღბლო გამოდგა. მაგალითად, დამარცხდნენ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი მერი არაბიძე, ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო გურამიშვილი და სხვები, რომლებსაც შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდათ. სტარტზევე ქულის დაკარგვა, ცხადია, გულდასაწყვეტია, მაგრამ ტრაგედია არ არის, რადგან წინ ათი ტურია და მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება.

**გიორგი გაგუა**

◎ სხვა გაზეთებიდან

# გედევანიშვილმა, შესაძლოა, სეზონი გამოტოვოს

**ქართველი ფიგურული მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელსაც ოლიმპიური წლის ყველაზე დიდი აღმოჩენა უწოდეს (16 წლის სპორტსმენის დებიუტი იყო მოზრდილების ევროპის ჩემპიონატზე და მეხუთე ადგილი დაიკავაძ, სერიოზულ პრობლემებს გადააწყდა, რამაც შესაძლოა, შეაფერხოს მომავალ სეზონში გამოსასვლელად მისი სამზადისი. როგორც ცნობილია, ელენე რამდენიმე წელს ვარჯიშობდა ცსკას ბაზაზე ელენა ბუიანოვასთან (ვოდორეზოვასთანძ, რის გამოც მოციგურავეს ოჯახი საქართველოდან მოსკოვში გადავიდა. თუმცა ამას წინათ ქუჩაში საბუთების შერჩევითი შემოწმების დროს მოულოდნელად გამოირკვა, რომ გედევანიშვილის დედის მოსკოვური რეგისტრაცია არასწორედ იყო გაფორმებული. ამასთან დაკავშირებით გედევანიშვილის მშობლებს მოუხდათ რუსეთის იძულებით დატოვება (გაზეთი რატომღაც არ წერს, რომ ბოლო ხანებში რუსეთში მიმდინარეობს ქართველთა იძულებითი მასობრივი გასახლება. – „ს.რ.“ძ**

თვით ელენე ამ დროს საერთაშორისო ტურნირზე გამოდიოდა ვენაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა.

გასულ სეზონში სპორტული წარმატებისთვის გედევანიშვილი ამ დღეებში დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი – ღირსების ორდენით. **„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ ბრწყინვალე სპორტსმენმა გააგრძელოს საერთაშორისო კლასისა და დონის წვრთნა და დიდი წარმატებები მოიპოვოს ოლიმპიადებზე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე“,** – თქვა დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ფიგურულ მოციგურავესა და მის ოჯახს შინ ცხოვრების და ვარჯიშის ყველა პირობები შეექმნება, თუმცა ასევე ცხადია, რომ ჩვეულ პირობებში ვარჯიშის გაგრძელებას თავის ადრინდელ დამრიგებელთან მოციგურავე ვერ შეძლებს.

**– ელენე მუდამ განსაკუთრებით ახლო იყო დედასთან. ის ძალზე შინაური გოგონაა. ამიტომაც ოჯახის გარეშე მოსკოვში ცხოვრებას ის ვერ შეძლებს, თუნდაც ის ჩემთან სახლში წავიყვანო,** – უთხრა გუშინ ელენა ბუიანოვამ „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტს ელენა ვაიცეხოვსკაიას, – **მოსკოვში ჩემი ჯგუფის მიტოვების უფლება კი მე არა მაქვს. უკვე მოვილაპარაკეთ, რომ რომელიღაც დროს მე და ელენე ვივარჯიშებთ ტალინის რომელიმე საციგურაოზე. სადაც ჩამოვა ჩემი მოციგურავეს დედაც. თუმცა ყოველივე ეს თუ რა სახით მოხდება პრაქტიკულად, ჯერჯერობით ვერ წარმომიდგენია.**



იმის ალბათობა, რომ გედევანიშვილების ოჯახი უახლოეს მომავალში დაბრუნდება მოსკოვში, ძალზე მცირეა, რადგანაც საქართველოში მუშაობა შეწყვიტა რუსეთის საკონსულომ და ახალი რუსული ვიზების მისაღებად ვერავის მიმართავენ. ქართველი ფიგურული მოციგურავის შემდეგი დიდი სტარტი უნდა გახდეს „გრან-პრის“ ეტაპი ნანკინში (ჩინეთი), რომელიც 9-დან 12 ნოემბრამდე უნდა გაიმართოს.

**„სპორტ-ექსპრესი“.**

◎ სუსხიანი სტრიქონები

# როდემდე გაგრძელდება ქართული ფეხბურთის დაკნინება და დაცემა?!

**დამთავრდა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი რაუნდი. საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი გასვლაზე მოიგო ფარერებთან დიდი ანგარიშით 6:0. არ ვიცი, ასეთი გამარჯვებით გამოწვეულმა ალტკინებამ და ეიფორიამ ქართველი ფეხბურთელების თვითდამშვიდება გამოიწვია, თუ მათ მეტი აღარ შეუძლიათ, ფაქტი ფაქტად დარჩა და ჩვენებმა ჯერ შინ წააგეს საფრანგეთის ნაკრებთან (0:3), შემდეგ გასვლითი მატჩი უკრაინელებთან დათმეს (2:3) და ბოლოს კვლავ შინ წააგეს იტალიის ნაკრებთან (1:3). უკრაინელებთან 63-ე წუთამდე ვიგებდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. იტალიის ნაკრებთან შეხვედრის წინ სფფ-ის პრეზიდენტიდან დაწყებული კლაუს ტოპმიოლერით დამთავრებული დამაჯერებლად გვარწმუნებდნენ და გვაიმედებდნენ, რომ თამაშს საქართველოს ნაკრები მოიგებდა. დამთავრდა ეს მატჩი და ნ. ახალკაცმა დუმილის უფლება გამოიყენა, ხოლო კლაუს ტოპმიოლერმა ოპტიმისტური განცხადება გააკეთა: „იტალიას მაღალ დონეზე ვეთამაშეთ, მაგრამ თანაბარი თამაში მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელის გაძევებამდე გაგრძელდა. მთლიანობაში სიტუაციას ვფლობდით, თუმცა გოლი უდროო დროს გავუშვით და ერთ წუთში ყველაფერი საპირისპიროდ შეტრიალდა. მიუხედავად ამისა, დღეს გუნდმა სიმტკიცე გამოიჩინა, რაც გაშვებული გოლის შემდეგ დავამტკიცეთ — აზრზე მოვედით მალე და ანგარიში გავათანაბრეთ. წინ გასვლის შანსიც გვქონდა, ხიზანიშვილმა ძელს რომ გაარტყა, აი, კანკავას გაძევება კი სრულიად აბსურდული იყო. მან ვარდნა არა უკნიდან, არამედ წინიდან განახორციელა, რაც ტრადიციულად, სათამაშო ეპიზოდად ითვლება. ამ მომენტის გამეორება კიდევ ერთხელ ვნახე და დავრწმუნდი მსაჯის შეცდომაში. ამდენი ყვითელი ბარათის მიღება იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით ფიზიკური მომზადებით შორს ვდგავართ წამყვანი ევროპული გუნდებისგან, ორთაბრძოლებს წამების მეასედებით ვაგებთ და ამიტომაცაა ამდენი გაფრთხილება...**



ერთ რამეში ვეთანხმები ტოპმიოლერს, — ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება ძალზე დაბალ დონეზეა და სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს ნაკრებმა თამაშის მეორე ნახევარი წააგო არა მარტო იტალიასთან, არამედ, აგრეთვე საფრანგეთთან და უკრაინასთან.

იმავე პრესკონფერენციაზე იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ განაცხადა: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოს დამარცხება იოლია, ის ნამდვილად ცდება. ვიზავისგან დიდ პრობლემებს მოედნის შუაგულში ველოდი და ამ სიტუაციაში ჩვენი მთავარი კოზირი ცენტრალური ნახევარმცველები უნდა ყოფილიყვნენ. შემიძლია ვთქვა, რომ მათ გაამართლეს, რასაც პეროტას და დეროსის გოლებიც მოწმობს. რაც შეეხება მსაჯობას, ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ მჩვევია, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ხანდახან ცდებიან კიდეც. ისე კი, არა მგონია, რაილის გადაწყვეტილებებს მატჩის შედეგზე რაიმე გავლენა მოეხდინოს, ჩემს განკარგულებაში ძალიან ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია...“

საერთოდ საქართველოს ნაკრების მოთამაშეები ხშირად არღვევენ თამაშის წესებს და შესაბამისად, დისციპლინარულ სასჯელს იღებენ. მათი მხრიდან ხშირია ყვითელი ბარათების მიღება. სწორედ იტალიასთან თამაშის დროს მეორე გაფრთხილების შემდეგ ჯაბა კანკავამ „წითელი ბარათი“ დაიმსახურა და ინგლისელმა მსაჯმა რაილიმ ის მინდვრიდან გააძევა.

მინდა ერთ მთავარ პრობლემურ საკითხსაც მივაქციო ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლია ნახევარდაცვა. მათი მხრიდან არ ჩანს დაცვასა და თავდასხმას შორის კავშირები, რაც მთავარია, ნახევარდაცვაში არ გვყავს გამთამაშებელი ლიდერები, რომლებიც ადრე გვამშვენებდნენ ავთანდილ ღოღობერიძის, შოთა იამანიძის, გიორგი სიჭინავას, კახი ასათიანის, მანუჩარ მაჩაიძის, ვიტალი დარასელიას და სხვების სახით, რომლებიც ხელში იღებდნენ თამაშის მთელ სადავეებს და გატანილი გოლებითაც გამოირჩეოდნენ.



ასეა თუ ისე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წლევანდელი ციკლი ჩვენი ფეხბურთელებისთვის სავალალოდ დამთავრდა. || ჯგუფის ცხრილში 3 ქულით, გატანილი და მიღებული ბურთებით — 9-9 მეექვსე ადგილზე აღმოვჩნდით და ვუსწრებთ ბოლო ადგილზე მყოფ ფარერების გუნდს. ძალზე დამაფიქრებელია მიღებული ბურთების რაოდენობა და ამ მაჩვენებლითაც მეექვსე ადგილზე ვართ. ასე გაგრძელდება მომავალი წლის მარტამდე, სანამ განახლდება თამაშები. არ ვიცით, რას მოიფიქრებს და მოიმოქმედებს კლაუს ტოპმიოლერი ან რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი, მაგრამ ამჯერად არსებული მდგომარეობა დამაფიქრებელია. შეძლებენ კი მდგომარეობის გამოსწორებას დარჩენილ ხუთ თვეში? საკითხავი აი, ეს არის.

წლევანდელმა მატჩებმა დაგვანახა, რომ ჩვენი ფეხბურთელები არა მარტო ფიზიკურად არ არიან მზად, არამედ ტაქტიკური მომზადების დონეც დაბალია. ტოპმიოლერი კი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ოპტიმალურად აცხადებს, რომ „საქართველოს კარგი ფეხბურთელები არ აკლია, მაგრამ ისინი დისციპლინაში მოიკოჭლებენ და ბრძოლის ჟინიც დააწუნებათ. არა უშავს, ეს გამოსწორებადი ხარვეზია“ („სპორტი“ძ. მერე, შე დალოცვილო, ვის და რას უცდი?

რუსთავის საფეხბურთო კლუბ „ოლიმპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი ამბობს: „რომელ ფეხბურთელსაც უნდა ჰკითხო, ნაკრებში თამაშს ყველა იმსახურებს. მე თუ მკითხავთ, ვინც ამჟამად ნაკრებშია, 80 პროცენტი ამის ღირსი არ არის. ვერც ჩემი გუნდიდან გავუწევდი ვინმეს რეკომენდაციას („სარბიელი“ძ. არადა, „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მომავალ წელს გველოდება გასვლითი შეხვედრები შოტლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებთან, აგრეთვე გადავხედავთ ჩვენს უახლოეს პერსპექტივებს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ულიმლამოდ და უიმედოდ გამოიყურებიან.

ძირშივე არასწორი და დაუშვებელია, როდესაც კლაუს ტოპმიოლერი იმის მაგივრად, რომ საქართველოში მეტ ხანს იმყოფებოდეს, აწარმოებდეს სელექციურ მუშაობას, ეძებდეს და აღმოაჩინოს ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელები, დაკავებული იყოს მათი სწავლებითა და მომზადებით, მიიყვანოს ისინი გარკვეულ კონდიციამდე, რომ ისინი ნაკრების წევრობის სრულუფლებიანი კანდიდატები გახდნენ, ის ძალზე ხშირად თავის სამშობლოში — გერმანიაშია და მხოლოდ ოფიციალური შეხვედრების მოახლოებისას ჩამოდის თბილისში. დაუშვებელია ის ფაქტიც, რომ ლეგიონერთა უმრავლესობა მოკლევადიან შეკრებაზე ჩამოდის, თანაც ზოგიერთი ტრავმირებული ან გადაღლილია, სათანადო სპორტულ ფორმაში არ არის და ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის თუ დადებითი შედეგიც შესაბამისად მიღწეული არ იქნება. ასევე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნ. ახალკაცი ხშირადაა გერმანიაში, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოში უპირველესად არეგულირებდეს და წყვეტდეს ყველა პრობლემურ საკითხს, რაც დაკავშირებულია ფეხბურთის განვითარებასთან და მის აღმავლობასთან. არადა, თითქმის ყოველთვის ძლიერ მოწინააღმდეგეებთან შეხვედრის წინ უსაფუძვლოდ გვაიმედებს და გვარწმუნებს, რომ საქართველოს ნაკრები უთუოდ მოიგებს. ასე იყო საფრანგეთის, უკრაინის და იტალიის ნაკრებებთან შეხვედრების წინ. მინდობილი საქმისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. „ავი ენები“ იმასაც ამბობენ, რომ მან სახლი თუ სასახლე იყიდა გერმანიაში. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს იმიტომ, რომ მამამისმა ნოდარ ახალკაცმა ბევრი რამ გააკეთა ქართული ფეხბურთის აღმავლობის, წარმატების და მსოფლიოში მისი პოპულარიზაციისთვის.

სრულიად შემთხვევით გავეცანი გაზეთ „კვირის პალიტრას“ სპორტული მიმომხილველის ზ. სეხნიაშვილის დამაიმედებელ სიტყვებს, რომ „ჩვენს ნაკრებს“ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს. გაზაფხულზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს (ბურთი მრგვალია)...“

სეხნიაშვილო! აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ჯერ ერთი, ბურთი მრგვალია არა მარტო ძლიერებისთვის, არამედ სუსტებისთვის. მეორე — პირველ-მეორე ადგილს ვინ ჩივის, ჯგუფში მესამე ადგილზე გასვლაც კი სათუოა, რადგან ჩვენზე ძლიერებად გამოიყურებიან საფრანგეთი, იტალია, უკრაინა და შოტლანდია. არადა, ჯერ კიდევ ევრო-2008-ის შესარჩევი თამაშების დაწყების წინ ტოპმიოლერი დიდი რიხით გვპირდება, რომ ჩვენს ნაკრებს ჯგუფში მესამე ადგილზე გაიყვანს. ამჟამად გამოიკვეთა ოთხეული — საფრანგეთი, იტალია, შოტლანდია და უკრაინა, რომელთა შორის გაიმართება ადგილების განაწილება.

ადრე ქართველი ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ მაღალი ტექნიკით და ტვინით, კომბინაციური თამაშით და იმპროვიზაციით. ისინი გამოდიოდნენ რა ეროვნულ კლუბებში, ქმნიდნენ საკუთარ, გამორჩეულ და სხვებისგან განსხვავებულ სტილს. მათ ეძახდნენ „დიდ ურუგვაელებს“ და იცით რატომ? ყველა ჩამოთვლილ საფეხბურთო კომპონენტთან ერთად, ისინი ათლეტური აღნაგობითაც გამოირჩეოდნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართველები სამხრეთამერიკული სკოლის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ამჟამად ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ინგლისში და ლონდონში, სადაც კარგავენ ქართულ სტილს...

ხშირად დამიჭერია მხარი რევაზ ძოძუაშვილის კანდიდატურისთვის, რომ ის ყოფილიყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. აღვნიშნავდი, რომ მისი დამსახურებით მიაღწია 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის „დინამომ“ წარმატებებს, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა და დაოსტატდა ჩვენი ლეგიონერების მთელი პლეადა, რომელთაგანაც ზოგიერთები დღესაც უცხო ქვეყნების კლუბებში თამაშობენ. რ. ძოძუაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის რიგის „სკონტის“ და, საერთოდ, ლატვიის ფეხბურთის აღორძინებისა და აღმავლობის საქმეში. ჩავუყენებთ რა საქართველოს ნაკრებს სათავეში, მას უნდა შევუქმნათ მუშაობის მშვიდი ატმოსფერო, იგივე ანაზღაურებით, რამდენსაც უხდიდნენ და უხდიან ნებისმიერ მოწვეულ უცხოელ მწვრთნელს. მას უნდა მივცეთ საშუალება, ამავდროულად აწარმოოს სელექციური მუშაობა, რომ აღმოაჩინოს, დააკვალიანოს და გზა მისცეს დიდ ფეხბურთში ახალგაზრდა ტალანტებს. ამასთან ერთად, მას უნდა გააჩნდეს ზუსტი ინფორმაციები არა მარტო ქართველ ლეგიონერებზე, არამედ აგრეთვე მოწინააღმდეგე გუნდების წევრებზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მას ჰყავდეს ასისტენტ-მეთვალყურეები, რომლებიც თავიანთ წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს დროულად, მიაწვდიან ნაკრების მთავარ მწვრთნელს...

საფრანგეთთან, უკრაინასთან და იტალიასთან დამარცხებებმა თვალნათლივ დაგვანახა და დაგვარწმუნა, რომ ქართულ ფეხბურთს არა ჰყავს პატრონი. არადა, ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში ფეხბურთის დონემ საგრძნობლად მაღლა აიწია. მნიშვნელოვნად გაგვისწრეს წინ რუსეთის, უკრაინის, ლატვიის და ლიტვის გუნდებმა. აქვე გამახსენდა, რომ ჩვენს ჯგუფში მოთამაშე ლიტვის ნაკრებმა იტალიიდან ქულა წამოიღო, თამაში ფრედ 1:1 დამთავრდა და მას შემდეგ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რობერტო დონადონის ყოფნა-არყოფნის საკითხი დღის წესრიგში დგას.

შექმნილ სიტუაციაში აღინიშნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უსუსური მოღვაწეობა, რომ იქ ვერ გარკვეულან ფეხბურთის ელემენტარულ საკითხებში და იცით რატომ? იმიტომ, რომ ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობს არაკომპეტენტური ხალხი. რას აკეთებს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი? ბევრს თითქოსდა პოლიტიკით აქვს თავი გამოტენილი და მხოლოდ იმისთვის იბრძვიან, რომ ხელისუფლებაში მოხვდნენ და ბევრი ფული იშოვონ. ვის უნდა ისეთი ქვეყანა, სადაც ეროვნული თვითშეგნება, პატრიოტიზმი, თავდადება და მომავლისადმი რწმენა არ იქნება უპირველესი ამოცანა. სწორედ ასეთმა ვაიპოლიტიკოსებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კარგ ფეხბურთს და მაღალი კლასის ვარსკვლავებს ხელეწიფებათ მოუტანონ საქართველოს საერთაშორისო იმიჯი, პოპულარობა და ავტორიტეტი.

დაბოლოს, ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს, აიყვანოს კონტროლზე სამამულო ფეხბურთში შექმნილი და დროთა განმავლობაში დაგროვილი პრობლემები, რომ ისინი უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდეს.

**გურამ ჩხიკვაძე**

◎ ორბიტაზე

## ამერიკას ემუქრებიან

**რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები იმუქრებიან აშშ-ში ამერიკული ფეხბურთის 7 სტადიონის აფეთქებით, ეგრეთ წოდებული, ჭუჭყიანი ბომბებით. როგორც იტყობინება Associated Press ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ინტერნეტ-საიტზე დაყრდნობით, შეუტევენ ნიუ-იორკის, მაიამის, სიეტლის, ჰიუსტონის, ოკლენდისა და კლივლენდის სპორტულ არენებს.**

სხვათა შორის, აშშ-ს მთავრობა და ამერიკული ფეხბურთის ლიგა სკეპტიკურად უყურებს ამ გაფრთხილებას. ეს მაშინ, როდესაც შეტყობინების ენა სინამდვილეში შემაშინებელია. სხვა დაშინებებს შორის გზავნილის ტექსტში ნათქვამია შემდეგი: „მოგვიანებით ოსამა ბენ ლადენი თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც შემდეგ მოინათლება, როგორც „ამერიკული ჰიროსიმა“.

თუ რა დაუშავა ამერიკულმა ფეხბურთმა რადიკალურ ისლამისტებს, ჯერჯერობით გაურკვეველია.

## ცალფეხა ფეხბურთელი?

**ცნობილმა ურუგვაელმა ფორვარდმა დარიო სილვამ, რომელსაც რამდენიმე კვირის წინათ, ავტოკატასტროფაში მოხვედრის შემდეგ, მარჯვენა ფეხი მოჰკვეთეს, განაცხადა, რომ ისევ აპირებს ფეხბურთის თამაშს.**

მისი თქმით, თუკი პროტეზი ნორმალურად იმუშავებს, მალე ფეხბურთის მინდვრამდეც მიაღწევს და ითამაშებს კიდეც.

სამშობლოში 24 სექტემბრის ავტოავარიის შემდეგ, როდესაც ექიმებმა განუცხადეს ფეხის ამპუტაციის აუცილებლობის შესახებ, მას სიცოცხლე აღარ უნდოდა. მაგრამ შემდეგ ოჯახი და უამრავი გულშემატკივარი რომ გაახსენდა, გადაწყვეტილება შეცვალა. აბა, რა იქნებოდა, როცა თანადგომის წერილები მარტო იტალიელებიდან, ესპანელებიდან და ინგლისელებიდან კი არა, შანხაის ფეხბურთის გულშემატკივრებიდანაც კი მოუვიდა.



## რუსეთის სიამაყე — ქართველი გაძარცვეს

**ქართული ფესვების რუსეთელზე — ანა ჩაკვეტაძეზე, აბა, აუგი ვის წამოსცდება, მაგრამ თავად რუსეთელებმა ეს მინიატურული გოგონა, როდესაც საყიდლებზე მამასთან — ჯემალ ჩაკვეტაძესთან ერთად მაღაზიაში იყო შესული, გაძარცვეს — ავტოსადგომიდან მისი ჯიპი Lexus Rx-300 გაიტაცეს.**

აბა, რას წარმოიდგენდით, რომ ქალიშვილს, რომელმაც რუსეთელებისთვის ერთობ პრესტიჟული „კრემლის თასი“ არავის გაატანა და ისევ მოსკოვში დატოვა, ასე გაამწარებდნენ.



◎ თანამედროვე იარაღი

# პროექტი „მერკური“: მიწისძვრა დაკვეთით

**არსებობს თუ არა გეოფიზიკური იარაღი? დანამდვილებით ამის თქმა ძნელია, მაგრამ ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში და შემდგომ რუსეთის ფედერაციაში მის შექმნაზე აქტიურად მუშაობდნენ.**




● ადგილები, სადაც ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ბირთვულ იარაღს სცდიდნენ.

## გეოფიზიკური იარაღის მონაცემები:

**გეოფიზიკური (ტექტონიკური) იარაღი – უახლოესი შეიარაღების ერთი სახეობაა, რომელიც ხელოვნურ მიწისძვრებს იწვევს. მისი მოქმედების პრინციპი ეფუძნება მიწისქვეშა ბირთვული აფეთქების შედეგად წარმოქმნილი აკუსტიკური და გრავიტაციული ტალღების ზუსტად მიმართვას. ეს იარაღი ბირთვულისგან პრინციპულად განსხვავდება (თუმცა მოქმედების მასშტაბისა და დამანგრეველი ძალით მრავალჯერ აღემატება). მის ზემოქმედებას ფარული ხასიათი აქვს, დარტყმის მიყენება პლანეტის ნებისმიერ წერტილზე შეიძლება, თანაც იგი კონტროლის არსებულ მეთოდებს არ ექვემდებარება.**

მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებებით გამოწვეული ტექტონიკური პროცესების შესწავლა საბჭოთა კავშირში 1954 წლიდან დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სეისმოლოგიის უწყებათაშორისი საბჭოს მეცნიერ-სეისმოლოგმა იაკობ ბერფელდმა აღმოაჩინა, რომ მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებებით გამოწვეული სეისმური პროცესები ზემოქმედებენ პოლარული იონოსფეროს ოლქების მდგომარეობაზე, რომელიც სეისმური მოვლენათა წერტილებიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. მან მეცნიერთა აკადემიის ხელმძღვანელობას მოახსენა, რომ მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა ზეგავლენა მიწისძვრაზე აშკარაა. ი. ბერფელდის აღმოჩენა ოფიციალურად რეგისტრირებულ იქნა, მაგრამ სამეცნიერო ნაშრომის ხელნაწერი მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტიდან უკვალოდ გაქრა.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ სამოცდაათიან წლებში, წყნარ ოკეანეში, ფსკერის სეისმოგრაფების მეშვეობით მიმდინარეობდა არა გეოლოგიური კვლევები, არამედ... ასაფეთქებელი მოწყობილობების ჩასადებად გამოსადეგი ადგილების შერჩევა.

გამოკვლევათა მიმდინარეობისას კეთდებოდა სენსაციური აღმოჩენები. მაგალითად, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ატომური აფეთქებების შემდეგ მიწისქვეშა ენერგიას შეუძლია დაგროვდეს ეპიცენტრიდან ძალიან შორს და უზარმაზარ სიმძლავრეს მიაღწიოს, რის შემდეგ მიმართულ აფეთქებას შეუძლია მისი მთლიანად გამოთავისუფლება.

სწორედ აქედან წამოვიდა ტერმინი **„ტექნოგენური დამიზნება“.**

ამავე დროს მეცნიერები გაფრთხილებებსაც იძლეოდნენ. მაგალითად, 1984 წელს პროექტ „მერკურის“ ერთ-ერთი პროგრამის „ვულკანის“ თანამშრომლები თავიანთი ანგარიშის დასკვნით ნაწილში აცხადებდნენ, რომ **„...ექსპერიმენტულ აფეთქებათა კალენდარული გეგმის შესრულებისას... არ არის გამორიცხული, რომ ამის შედეგად შორეულ აღმოსავლეთში პერიოდულად წარმოიქმნას პრობლემები (რომლებიც თავის მხრივ გავლენას იქონიებენ გაზისა და ნავთობის მოპოვებაზე)...“**



პროექტ „მერკურის“ გასაიდუმლოების მასშტაბების შესახებ მსჯელობა შეიძლება თუნდაც იმის მიხედვით, რომ მასში მონაწილე ყველა პირს უნდა ჰქონოდა სულ მცირე №2 დაშვების ფორმა. შესაბამისად, ყველა მასალა, რომელიც სამუშაოთა შესრულებას ეხებოდა, მიდიოდა გრიფით „სრულიად საიდუმლო“, რასაც სუკ-ი საგანგებოდ კურირებდა, ხოლო ყველა ოთახის ფანჯარა, სადაც თათბირები ტარდებოდა, დახურულ ეზოში გადიოდა. სამუშაოები მიმდინარეობდა ლეგენდით

## პარტიისა და მთავრობის დავალებით

როგორც ჩანს, გეოფიზიკური იარაღის აქტიური დამუშავება მოგვიანებით დაიწყო. თანაც ეს სამუშაოები უმაღლეს დონეზე იყო სანქცირებული. 1987 წლის 30 ნოემბერს მიიღეს სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება. პროგრამის დამუშავების სათაო დაწესებულებად, რომელსაც კოდური სახელწოდება „მერკური“ დაარქვეს, შეარჩიეს ბაქოს გეოლოგიის ინსტიტუტი, რომლის გარდა პროექტში ყოფილი სსრ კავშირის კიდევ 22 სხვა სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაცია ჩაერთო.

## ისტორია

ახლა შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პროექტ „მერკურის“ თანამშრომელთა წინაშე, შემდეგი გლობალური ამოცანები იყო დასმული:

– ოპერატიული და ხანგრძლივი პროგნოზის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა;

– კოსმოსურ აპარატებზე დასადგმელი საპროგნოზო აპარატურისთვის საჭირო ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემთა დამუშავება;

– **მიწისძვრის კერაზე დისტანციური ზემოქმედების მეთოდიკის დამუშავება სუსტ სეისმურ ველთა გამოყენებით;**

**–აფეთქების სეისმური ენერგიის გადატანის საშუალებების შესწავლა სუსტ სეისმურ ველთა მეშვეობით.**

„ტექტონიკური მიწისძვრების პროგნოზის პრობლემის დამუშავება“.

1990 წელს კვლევები უნდა დასრულებულიყო და გამოცდები დაწყებულიყო. აზერბაიჯანელი მეცნიერის იქრამ ქერიმოვის ხელმძღვანელობით ამის განხორციელებას სპეციალისტების ჯგუფი შეუდგა, გამოცდებისას იყენებდნენ მიმღებ ცენტრსა და სამ გადასატან ციფრულ გეოფიზიკურ სადგურს, რომელიც ამ მიზნისთვის საგანგებოდ შეუკვეთეს დიდ ბრიტანეთში. მოგვიანებით სწორედ მათმა მოწყობილობამ დედამიწის წიაღში დიდ სიღრმეზე ჩაფლულ ბირთვულ მუხტთან ერთად შეადგინა სტრატეგიული სეისმოლოგიური ტექნიკური კომპლექსი.

როგორც ჯგუფის ანგარიშიდან ირკვევა, გამოცდამ წარმატებით ჩაიარა...

## პროექტი „მერკური“ და სხვები

სწორედ ეს გახდა იმის საბაბი, რომ ტექტონიკური იარაღის დოქტრინაში საგანგებო თავი მოამზადეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საცდელი აფეთქების მატებით დასრულების მიუხედავად, მრავალი მეცნიერი მაინც სკეპტიკურად შეხვდა ტექტონიკური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას.

იმ დროისთვის, როცა პროექტი **„მერკური“** დასასრულს უახლოვდებოდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა და აზერბაიჯანი სუვერენული სახელმწიფო გახდა, პროექტი „ჰაერში გამოეკიდა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან უკვალოდ გაქრა კომპიუტერი პროგრამული უზრუნველყოფით, სპეციალისტების ნაწილი სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა, ზოგმაც სხვა სფეროში დაიწყო მუშაობა...

**მაგრამ ამ მიმართულებით სამუშაოები რუსეთში კვლავაც მიმდინარეობს და 1992 წელს მეცნიერებმა განიხილეს სტრატეგიული სეისმოლოგიური ტექნიკური კომპლექსის ახალი პროექტი. ბოლო გამოცდა კი კომპლექსმა კოდირებულ რაიონში გაიარა, რომელიც (სავარაუდოდ) შორეული აღმოსავლეთი უნდა იყოს...**

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

◎ მედიცინის სიახლენი

## სილიკონის სევდა

**ხელოვნურ ბიუსტს ქალები თვითმკვლელობამდე მიჰყავს. კვებეკის (კანადა) ლავალის უნივერსიტეტის სწავლულებმა საგულისყურო კანონზომიერებას მიაგნეს – თურმე სილიკონისმკერდიანი ქალები უფრო იხრებიან თვითმკვლელობისკენ, ვიდრე იმათი ნატურალურბიუსტიანი დობილები.**

გამოკვლევის ავტორებმა 15-წლიანი დაკვირვებების მონაცემები გააანალიზეს. აკვირდებოდნენ იმ 25 ათას ქალს, რომლებმაც სხვადასხვა დროს სილიკონის იმპლანტაცია ჩაიტარეს. ამ ქალთა შორის თვითმკვლელთა წილმა 73 პროცენტით გადააჭარბა ანალოგიურ მაჩვენებელს საკონტროლო ჯგუფში.



ეს ორი მიზეზით უნდა ხდებოდეს. ჯერ ერთი, პლასტიკურ ქირურგებს, როგორც წესი, ფსიქიკამოშლილი ქალები მიმართავენ, იმპლატანტები კი ფსიქიკურ პრობლემებს ნამდვილად ვერ მოუგვარებენ. მეორეც, სილიკონური იმპლანტატების დიდხანს ტარება ორგანიზმში პლატინის შხამიანი მარილების კონცენტრაციის მაღალ დონეს იწვევს. ეს კი ძალიან ტოქსიკური ნივთიერებაა, რომელსაც ალერგიული რეაქციები და ნერვული სისტემის დაავადებები შეიძლება მოჰყვეს.

ეგეც არის – მეცნიერებმა სილიკონში პოზიტიური მხარეებიც აღმოაჩინეს. მაგალითად, დადგინდა, რომ მკერდის გამდიდებელ ქალებს უფრო იშვიათად შეეყრებათ ხოლმე ძუძუს ონკოლოგიური ავადმყოფობანი.

## ქილერთა ქილერი



**პრეპარატი გრიპის ნებისმიერ ვირუსს მოკლავს. აშშ-ის ვისკონსინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს გრიპის ყველა ნაირსახეობისგან ადამიანის დამცველი წამლის შექმნის თაობაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს უჯრედული მემბრანების გავლით რთული ნაერთების ტრანზიტის მარეგულირებელი ცილური კომპლექსის ფრაგმენტი.**

ამ ნივთიერების მოქმედების მექანიზმი ბოლომდე არ არის შესწავლილი, მაგრამ როგორც ცდებმა გვიჩვენეს, მას შესწევს უჯრედის შიგნით გრიპის ვირუსების შეღწევის სრულად ბლოკირების უნარი.

– ჩვენი პრეპარატი ურტყამს ვირუსის სასიცოცხლო ციკლის იმ ფაზას, რომელსაც სხვა პრეპარატები ვერასოდეს ვერაფერს ვერ აკლებდნენ, – ამბობს კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, დოქტორი კერტის ბრანდტი. – ვირუსს უბრალოდ არ შეუძლია უჯრედში შეღწევა და თვითონვე ბლოკავს ინფექციის ადრეულ სტადიას.

ახალი წამალი ეფექტიანი საშუალება იქნება ქათმის გრიპის H5N1-ის წინააღმდეგ: გრიპშეყრილი ყველა ლაბორატორული თაგვი გადარჩა და ამჟამად მშვენივრად გრძნობს თავს.

## მომვლელი ქალები ისვენებენ

**ლიფტიანი სასწაული სავარძელი ამერიკის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის საინჟინრო ლაბორატორიაში შექმნეს. ახლა ხეიბარს შეუძლია ტუალეტამდე მგზავრობა და იმით სარგებლობა – „ტვირთმზიდი“ უნიტაზზე დაუშვებს და უკანაც წაიყვანს.**

ახალი ავტომატი პაციენტს რამდენიმე ვარჯიშის შესრულებაშიც დაეხმარება ფეხების „დასამუშავებლად“.

– მსოფლიოში იზრდება მოხუცი და ხანდაზმული ადამიანების რიცხვი და მომვლელი ქალები მალე ყველას ვერ გასწვდებიან. არაერთი ოჯახი ჯერ რამდენჯერმე დაფიქრდება, რა უფრო იაფი და უხიფათოა – საკუთარი ფულით სახლში უცხო კაცის შემოშვება თუ რობოტიზებული სავარძლის ყიდვა, – ამბობენ „სავარძელ-ლიფტის“ გამკეთებლები.

## ფენიქსი სინჯარიდან

**მიკრობი ადამიანებს დარღვეული დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის) აღდგენას ასწავლის. Deinococcus radiodurans-მა იმით გაითქვა სახელი, რომ პირველად დაშმორებული დაბუღულას ქილაში აღმოაჩინეს და ეს დაბუღულა რადიაციის დამრტყმელი დოზით დაასხივეს. მიკრობი არა მარტო გადარჩა, არამედ კიდევაც გამრავლდა.**

მოგვიანებით შხამებითაც მოწამლეს, ვაკუუმშიც მოათავსეს და გააუწყლოვნეს. ის კვლავ ცოცხალი რჩებოდა და არავის არ ესმოდა, როგორ და რატომ – მანამდე, სანამ ფრანგი და ხორვატი სწავლულების ჯგუფმა ქსენია ზახრადკის ხელმძღვანელობით არ შეისწავლა ფენომენი.

ჩვეულებრივ, ძლიერი დასხივების შედეგად ქრომოსომები ათასობით ნაკუწად იშლებიან, რასაც უჯრედის სიკვდილი მოსდევს. გამოირკვა, რომ ხსენებული მიკრობი ახერხებს მთელ დნმ-ად ნაკუწების თავმოყრას. დარტყმიდან ნახევარ საათში მიკრობი იწყებს დნმ-ის სინთეზს და მის ნაჭრებს შეაწებებს. 6 საათის შემდეგ გენომი სავსებით აღდგება. ქსენია ზახრადკის სიტყვებით, „უჯრედული რემონტის“ მექანიზმის გამოყენება შეიძლება ადამიანის უჯრედებში დაზიანებული დნმ-ის აღსადგენად და კიბოს სამკურნალოდ.



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**მაშინ როცა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები ცდილობენ როგორმე მოაგვარონ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ გამოცდებთან დაკავშირებული პრობლემა, ხოლო ირანი ერთი-მეორის მიყოლებით აკეთებს ღვარძლიან ანტიდასავლურ განცხადებებს, რუსეთი ამ დროს სულ უფრო ამწვავებს დაპირისპირებას მეზობელ საქართველოსთან.**

# რუსეთი კი კვლავ ფიქრობს... საქართველოზე

ორი კვირის წინ საქართველოში დააკავეს ხუთი რუსი ოფიცერი, რომლებიც ჯაშუშობაში დაადანაშაულეს, მოსკოვმა კი ყოველივე ეს აღიქვა როგორც საბაბი თბილისთან ისედაც რთული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებისთვის. რუსეთის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ამ ქვეყანაში მცხოვრებ მილიონიან ქართულ დიასპორას.

ქართველებს, რომელთა შორის ბავშვებიც იყვნენ, სატვირთო თვითმფრინავებით ისტუმრებდნენ რუსეთიდან, იმიზეზებდნენ რა იმას, რომ ისინი ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდნენ. ქართველი ეროვნების გამოჩენილ ინტელექტუალებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ, სდევნის საგადასახადო პოლიცია. მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ შერჩევით აქციებს იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველებს ეკუთვნით. რუსეთის ასეთი პოზიცია ეჭვქვეშ აყენებს მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს, საერთაშორისო ურთიერთობის პასუხისმგებელი და კონსტრუქციული სუბიექტის იმიჯს.

რა დასამალია და, დივერსიულ საქმიანობაში ბრალდებული სამხედრო დაზვერვის ოფიცრების დაპატიმრებით საქართველომ, შეიძლება ითქვას, ზედმეტი აქტიურობა გამოიჩინა, რადგან ასეთ შემთხვევაში მიღებულია ჯაშუშების უხმაუროდ გაძევება ქვეყნიდან. ამის პასუხად მოსკოვმა თბილისიდან გამოიხმო თავისი ელჩი, გამოხიზნა დიპლომატები ოჯახების წევრებთან ერთად და შეწყვიტა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა; საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ბაზები მოიყვანეს გადიდებული მზადყოფნის მდგომარეობაში; რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთან საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლა, დაბლოკა რუსეთში მომუშავე ქართველებისგან სამშობლოში ფულადი გზავნილები, რის შედეგადაც მრავალი ქართული ოჯახი შემოსავლის ძირითადი წყაროს გარეშე დატოვა.

2003 წლის შემდეგ, როცა „ვარდების რევოლუციის" შედეგად საქართველოს ხელისუფლების სათავეში მივიდა მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულმა არაერთმა ანტირუსული შინაარსიის განცხადებამ, რუსეთის ბაზების გატანისათვის აღებულმა მკაცრმა კურსმა, ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მცდელობამ, აგრეთვე, იმან რომ საქართველო არ ეთანხმება რუსეთის შესვლას მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში, ერთხელ უკვე გამოიწვია პუტინის მთავრობის მხრიდან საპასუხო რეაქცია, რომელმაც აკრძალა ქვეყანაში იმ ორი ძირითადი სახის საქონლის შეტანა, რომლებიც ქართული ექსპორტის მთავარ ბირთვს შეადგენდა — რუსეთის მოქალაქეებისთვის საყვარელი მინერალური წყალი „ბორჯომი" და ქართული ღვინოები.

თუმცა, კრიზისი ამით არ ამოწურულა, სექტემბერში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებმა, რომლებიც რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით სარგებლობენ, ცეცხლი დაუშინეს ქართულ ვერტმფრენს, რომელშიც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა. ეს პროვოკაცია წარმატებით რომ დასრულებულიყო, საქართველოს კუთვნილ ამ პატარა ტერიტორიაზე აუცილებლად დაიწყებოდა საომარი მოქმედება. მაგრამ რუსეთს პრაქტიკულად არც კი დაუმალავს, რომ სურს კავკასიაში ომის გაჩაღება, რომელიც გამოიწვევდა თბილისში რეჟიმის შეცვლას. საქართველოში კონფლიქტების გაღვივებისთვის აღებული კურსი აიხსნება როგორც რეგიონული, ისე გლობალური ხასიათის არაერთი მიზეზით.

რუსეთი პირველად როდი ცდილობს შეაჩეროს ნატოს გაფართოება ყოფილ საბჭოთა სივრცეში. 1999 წელს მოსკოვი ყოველმხრივ ცდილობდა შეეშალა ხელი ალიანსში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გაწევრიანებისთვის, მაგრამ მაშინ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გონს მოსული 1998 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ; თანაც რუსეთში სრული სვლით მიმდინარეობდა ბრძოლა იმისთვის, თუ ვინ გახდებოდა პრეზიდენტ ბორის ელცინის მემკვიდრე. და რადგან, 1999 წელს ენერგოშემცველების ფასები საკმაოდ დაბალი იყო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი ბალტიისპირელების შესვლას ნატოში, რუსეთის მხრიდან დიდი პროტესტის მიუხედავად. მაგრამ სადღეისოდ, როცა ენერგეტიკული თვალსაზრისით დასავლეთი ევროპა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული „გაზპრომზე", რუსეთის საგარეოპოლიტიკურ პოზიციას იგი გაცილებით სერიოზულად ეკიდება.

კრემლს სადღეისოდ აქვს ფულის უზარმაზარი მარაგი — 250 მილიარდი ნავთობდოლარი. ამ სახსრებით იგი იძენს დიდძალ სამხედრო ტექნიკას — როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისთვის, ისე პრორუსულად განწყობილი აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის.

და ბოლოს, რუსეთს აღიზიანებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი — მთავარი საექსპორტო მარშრუტი, რომლითაც რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ხდება აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტირება ხმელთაშუაზღვისპირეთში. იქ ახლო მომავალში ამოქმედდება აფშერონ-ერზერუმის გაზსადენი, რომლის მეშვეობითაც თურქეთსა და ევროპაში გაიგზავნება აზერბაიჯანში მოპოვებული გაზი. „გაზპრომი" დარწმუნებულია, რომ საბოლოო ანგარიშით, ამ მილსადენით ევროპაში შესაძლებელი იქნება თურქმენეთის და ყაზახეთის გაზის ექსპორტირებაც, ისევ და ისევ რუსეთის გაზსადენის ქსელის ავლით.

თუ საქართველო ვერ გაუძლებს რუსეთის ასეთ მძლავრ ზემოქმედებას, ამიერკავკასიაში მოსკოვის ყოფნას სულ მალე იგრძნობენ მეზობელი სომხები და აზერბაიჯანიც. წამყვან მოსკოველ პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ბაქომ რუსეთის კომპანიებს საკმაო რაოდენობით არ გამოუყო წილი თავის ნავთობმომპოვებელ უბნებში და ცდილობს რუსეთის ნაცვლად თვითონ განახორციელოს თურქეთში გაზის ექსპორტი; შესაძლოა, საქართველოს მიმართ მოსკოვის აგრესიას გარკვეულწილად ესეც განაპირობებდეს.

სომხეთის ოპოზიცია სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს პროდასავლური და ნაკლებად პრორუსული პოლიტიკის განხორციელებას, მიანიშნებს რა იმას, რომ მოსკოვთან ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ ვერანაირად ვერ აამაღლა ცხოვრების დონე ქვეყანაში და ვერ შეუწყო ხელი იმას, რომ საერთაშორისო გაერთიანებას ეცნო მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა. თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციაში იქნებოდა პრორუსულად განწყობილი საქართველო, ამით რუსეთს და ირანს მიეცემოდათ სომხეთსა და აზერბაიჯანში თავიანთი ბატონობის დამყარების და ამ ქვეყნებში შეერთებული შტატების პოლიტიკური შესაძლებლობების მკაცრად შეზღუდვის საშუალება. გარდა ამისა, მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარი შეაჩერებდა შეერთებული შტატების წინსვლას ცენტრალური აზიის მიმართულებით და ჩამოაშორებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყაზახეთს ენერგოშემცველების დასავლური ბაზრებისგან.

რუსეთს არაერთგზის განუცხადებია, რომ კოსოვოს თუ მიენიჭება დამოუკიდებლობა სერბეთისგან, ამაზე პასუხი ძალზე მკაცრი იქნება. პუტინმა მოითხოვა, რომ ამ შემთხვევაში იგივე სტანდარტები გამოიყენონ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სეპარატისტული ანკლავების მიმართაც — დნესტრისპირეთი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი. ასეთ შემთხვევაში მოსკოვი მოგვევლინებოდა ამ ტერიტორიებზე რეფერენდუმების გამართვის ინიციატორად და აღიარებდა მათ დამოუკიდებლობას, რითაც გაუხსნიდა გზას მათ თანდათანობით შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა შეიძლება გახდეს საშიში პრეცედენტი ყირიმისთვის, სადაც მოსახლეობის უმეტესობა პრორუსულადაა განწყობილი, აგრეთვე რუსულენოვანი აღმოსავლეთი უკრაინისა და ძირითადად სლავებით დასახლებული ჩრდილოეთ ყაზახეთისთვისაც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სადღეისოდ არსებული საზღვრების რღვევისა და შეცვლის ფაქტებმა შეიძლება სერიოზული შედეგები შეუქმნას ევროპასაც: ევროპაში და სხვა კონტინენტებზე — კერძოდ, ერაყსა და ქურთისტანში — შეიძლება აგორდეს ტერიტორიული და ეთნიკური პრეტენზიების მთელი ტალღა.

შეერთებული შტატები ამჟამად დაკავებულია ერაყის, ავღანეთის, ირანის და ჩრდილოეთ კორეის კრიზისებით. თითოეულ ამ კრიზისში რუსეთი ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს, და რეალური თანამშრომლობა მოსკოვის მხრიდან მნიშვნელოვნად გააიოლებდა მათ მოგვარებას, თუმცა ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება. ამერიკა-რუსეთის მომავალი ურთიერთობისთვის, ისევე როგორც გლობალური უშიშროებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვის მიდგომა ამ პრობლემებისადმი იყოს პასუხისმგებლური და კონსტრუქციული, და საამისოდ ყველაზე შესაფერისი საბაბია, რომ დიპლომატიური მეთოდებით რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული კრიზისი. ვაშინგტონმა უნდა შეაგნებინოს ევროპის ქვეყნებს, ევროკავშირს და თურქეთს, რომ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების აღმოფხვრაში, თბილისს კი ურჩიოს შეიკავოს თავი ისეთი გამონათქვამებისა და მოქმედებისგან, რომელიც გამოიწვევდა რუსეთის ზედმეტ უსაფუძვლო გაღიზიანებას. მშვიდობა და აღორძინება კავკასიის რეგიონში თანაბრად შეესაბამება როგორც საქართველოს, ისე რუსეთის და ამერიკის ინტერესებს.

**არიელ კოენი,**
Heritage Foundation **ანალიზური ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, რუსეთის, ევრაზიისა და ენერგეტიკული უშიშროების პრობლემათა სპეციალისტი.**
**„ვაშინგტონ პოსტი", (აშშ).**

## მილოცვა

**შვილები სოსო და ნანა, ძმა ილო ჩაქიაშვილები, მეუღლე მალხაზი, დედამთილი ჟუჟუნა, მამამთილი ვალერიან კალმახელიძეები ულოცავენ ია ჩაქიაშვილს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას და უსურვებენ სიხარულს პატარა მარიამსა და ნინოსთან ერთად.**

## პერიოდიკა

# ჟურნალი, რომელიც თავიდან ბოლომდე წასაკითხია

***ლაბრადორის ოქროსფერი ბეჭდის... — ლაბრადორის ოზელისკს წარწერა რუსული ჰქონდა: „მხურვალედ საყვარელ არჩილს მწუხარე ლელისგან..."***

***დედა უამბობდა ხოლმე შალვას ამ მამაცი რაინდი არჩილისა და მისი მზეთუნახავი ცოლის ამბავს. რომ საფლავის გაკეთებისა და ხარჯის გადახდის შემდეგ, ქალმა დაწერა წერილი: „მაპატიეთ, მაგრამ უარჩილოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო..." დალია შაბიამნის ხსნარი და თავი მოიკლა...***

**„ლიტერატურა და ხელოვნების"** მკითხველი ჟურნალის მე-9 და მე-10 ნომერში კვლავ იხილავს ზაირა არსენიშვილის რომანის **„კოლაჟი მთვარის შუქზე"** გაგრძელებებს. სწორედ აქ შეიტყობს არჩილისა და მისი მზეთუნახავი ცოლის სევდიან ისტორიას.

ჟურნალის მეცხრე ნომერში წაიკითხავთ **ზაალ ებანოიძის, მარინა ხმალაძისა** და **ლადო კახიძის** ლექსებს, ხოლო მეათე ნომერი წარმოდგენილია **ხათუნა ჟორდანიას,** ნოდარ კვიჟინაძის, **გიორგი მინდიკაურისა** და **ზეზვა მედულაშვილის** პოეზიით.







მეცხრე ნომერში სრულდება დიდი რუსი მოაზროვნის **ნიკოლოზ ბერდიაევის** ესსეები — **„რუსული სული"** და **„სივრცის გავლენა რუსულ სულზე"**.

**„რუსეთი, ესოდენ თავისებური, ესოდენ უჩვეულო სულის ქვეყანა, ყოველთვის მონურად ემორჩილებოდა დასავლეთ ევროპას"** — წერს ბერდიაევი.

ჟურნალში რუბრიკა — მხატვრობა — წარმოდგენილია **ქეთევან კინწურაშვილის** წერილით **„მოდერნიზმი ავანგარდში" — დავით კაკაბაძე**. ეს ნომერიც სწორედ დიდი ქართველი მხატვრის ტილოების რეპროდუქციებითაა დასურათებული.

აქვე იხილავთ **ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილისა** და **რამაზ შენგელიას** წერილს **„წმიდა ნინოს გარდაცვალების მიზეზი"**. თეატრალურ განყოფილებაში კი ნათელა ურუშაძის **„ხსოვნის სარკეში"** — შემოქმედება **თამარ წულუკიძისა.**

ასევე საინტერესოდაა შედგენილი ჟურნალის მომდევნო მეათე ნომერიც.

თარგმანების განყოფილებაში გაეცნობით დიდი სერბი მწერლის **მილორად პავიჩის „ცოტა რამ ჩემზე და ჩემს „ხაზარულ ლექსიკონზე"**. გურამ გოგიაშვილის მიერ თარგმნილი მწერლის ეს წინასიტყვაობა მართლაც შესანიშნავად ასახავს პავიჩის სულს და წასაკითხად განაწყობს რომანის მკითხველებს. **„მე, როგორც უმკითხველო მწერალი, ჩემს ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად ვიყავი ცნობილი 1984 წლამდე, როცა უცებ ერთ დღეში გავხდი ყველაზე უფრო უხვმკითხველიანი და ცნობილი"** — წერს მილორად პავიჩი.

თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორი მკითხველს სთავაზობს წერილს შესანიშნავ მსახიობ **ნოდარ მგალობლიშვილზე — „სცენაზე ადამიანის სული შიშვლდება". „შექსპირისათვის უნდა მომწიფდე. 30 წლამდე შექსპირის თამაში არ უნდა გაბედო"** — ამბობს მსახიობი და ამგვარი რწმენით ემზადება თემურ ჩხეიძის მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ „ოტელოში" იაგოს როლის შესასრულებლად. მკითხველის თვალწინ გაირბენს მსახიობის მიერ შესრულებული ყველასათვის ნაცნობი გმირთა სახეები — ჰაკი აძბა, მოშიაშვილი, თეიმურაზი, იაგო, ოსვალდი და ნოდარ მგალობლიშვილის მთელი შემოქმედება.

**„ქართული ვიზუალურ-პლასტიური ხელოვნება-უფრო სწორად კი ხელოვნებათა მთელი ჯგუფი რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. ინდივიდუალური გამოვლინების უაღრესად მდიდარ ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში ესმა ონიანის შემოქმედებამ გამორჩეული ადგილი დაიკავა".** სწორედ ამ ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედებაზე მოგვითხრობს გიორგი ხოშტარია წერილში **„ჩვენ ვართ ფიქრების ხატად გახდომა"**... ჟურნალის მეათე ნომერიც სწორედ ესმა ონიანის ნამუშევრებითაა გაფორმებული.

ჟურნალ **„ლიტერატურა და ხელოვნების"** გამოცემის სპონსორია **მაგთიკომი.** დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი **ვაჟა ოთარაშვილი**.

**ავთანდილ ბექაური**

## განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „ქინძმარაულის ღვინის ქარხანას" (მდებარე ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქ. 38-ში, რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 24.02.2004 წ. №5/4-3137ძ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ **ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 91 59 30 (გია).**

**სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ა. ხარებავა**

## განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს **„დილვამის"** (მდებარე ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დილმის მასივი, II კვ. რეგისტრირებული დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 26.01.1996 წ. №2/4-408ძ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ **ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 91 59 30 (გია).**

**სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ა. ხარებავა**

მოდა

# პასტელის ფერები საშემოდგომო კოლექციებში





**დადგა შემოდგომა... მოდის მოყვარულთ, ბუნებრივია, აინტერესებთ რა მიმართულებებია აქტუალური ამ სეზონისთვის. ცნობილი დიზაინერების ნამუშევრებს უკვე გაეცნო პარიზის, მილანის, ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოება. საშემოდგომო კოლექციების ჩვენებისას ბევრი სიახლე გამოიკვეთა, თუმცა მოდელიერებმა კარგად დავიწყებული ძველიც მოდურად წარმოაჩინეს.**

უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ დიზაინერთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა 70-იანი წლების სტილს, ე.წ. ჰიპების ეპოქას. ამჯერად, სწორედ ეს მიმართულება იგრძნობოდა ცნობილი დიზაინერების საშემოდგომო ნამუშევრებში.

ალექსანდრ მაკუინი ხშირად მიმართავს სხვადასხვა ეგზოტიკური ქვეყნის მოტივებს, მან ამჯერად, ესპანეთი მოიშველია. მის შემოქმედებაში უხვად გამოხატული ესპანური ვნება და ტემპერამენტი კოსტიუმებს სექსუალურობასა და მომხიბვლელობას ანიჭებდა. მან სხეულზე მომდგარი, ქალური სილუეტის გამომკვეთი კაბებით, ქვედატანებით და შარვლებით საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

სტელა მაკარტნიმ (2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერიძ პოდიუმი შემოდგომისთვის დამახასიათებელი პასტელის ფერებით დაამშვენა, რითაც კოსტიუმებს იდუმალი და არააგრესიული ხიბლი შემატა. მისი მოდელები – ქალისა და მამაკაცის მსუბუქ ლაბადებში კომფორტულად და ამასთანავე, ელეგანტურად გამოიყურებოდნენ.

ვალენტინომ კი საშემოდგომო კოლექცია სხვადასხვა ქსოვილით (თხელი შალი, ხავერდი, კოტონიძ გაამდიდრა, უპირატესობა კი შოკოლადისფერს მიანიჭა.

ფერების დიდოსტატად აღიარებულმა კრისტიან ლაკრუამ მოდელებში, ძირითადად, ჭაობისფერი გამოიყენა, – ჟაკეტები, შარვლები, ლაბადები, ფეხსაცმელი, ჩექმაც კი, ამ ტონალობაში წარმოადგინა.

ჯონ გალანომ აქცენტი თმის ბუნებრივ ვარცხნილობაზე, ფაფუკ და ნაზ ნაქსოვ ქსოვილზე, ქვირფას ტყავსა და მოგრძო ჭრილიდან ქვედატანებზე გააკეთა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამართულმა ჩვენებებმა საშემოდგომო ამინდი შექმნა. ამჯერადაც აღსანიშნავია ის, რომ მოდა მის მოყვარულებს და არა მარტო მათ, მუდმივად ხიბლავს და აოცებს.

**ლელა დონაძე**

**სურათზე: საშემოდგომო მოდელები.**

ანეკდოტები

**– ოდესმე თუ გისარგებლიათ მომსახურებით „სექსი ტელეფონით“?**

**– კი.**

**– და რომელი ფრაზა მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

**– „იქ არ მოხვდით“.**

* * *

**– მითხარით, რა არის საარსებო მინიმუმი?**

**– როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სუნთქავს...**

* * *

**თუ ტყეში გზა აგებნათ, კომპასი კი არა გაქვთ, დაელოდეთ შემოდგომას – ჩიტები სამხრეთისაკენ გაფრინდებიან.**

* * *

**ფსიქიატრიულის პაციენტი მკურნალს თავის ნახატს უჩვენებს:**

**– აი, ექიმო, ძროხა საძოვარზე ბალახობს.**

**– ჰო? მაგრამ სად არის აქ ბალახი? – უკვირს ექიმს.**

**– იგი ძროხამ შეჭამა.**

**– მაგრამ თვითონ ძროხაც რომ არსად ჩანს?**

**– არც უნდა ჩანდეს, ყველაფერი გადაძოვა და რას გაუჩერდებოდა მოტიტვლებულ მიწაზე?**

* * *

**ტიპი მაღაზიაში შედის:**

**– ამიწონეთ 329 გრამი ძეხვი, 236 გრამი ყველი და 423 გრამი შაქარი.**



**გამყიდველმა მიაწოდა ზუსტად აწონილი ეს პროდუქტები და პრეზერვატივების შეკვრაც დაამატა.**

**– რათა თქვენნაირი მახინჯები არ გამრავლდნენ!**

* * *

**საგარაკო ნაკვეთზე ქალი მიწას თხრის... ბარით. მეზობლის ნაგაზი გაშტერებული უყურებს. ქალი ამას შეამჩნევს და ნაღვლიანად ეუბნება:**

**– ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მე, სულელმა, ძოშების მიტანა ვისწავლე...**

გამოხმაურება

## ორწყობილა

**პარლამენტარებს ხელფასები ეცოტავებათ.**
**ცოტნე თუ ახსოვთ? და თუ ახსოვთ – ეცოტნევებათ?..**

**თამაზ ილმელი**

ფოლკლორი

## ქვემოქედელები ლაურეატები გახდნენ

**ერთი წლის განმავლობაში მთელი საქართველო მოიცვა ფოლკლორის ეროვნულმა დათვალიერება-ფესტივალმა, რომელიც ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით „ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის“ ფარგლებში. თითქმის არ დარჩენილა ქალაქი თუ რაიონი, თემი თუ სოფელი, ფოლკლორის ამა თუ იმ სახეობაში თავისი შემოქმედება რომ არ წარმოეჩინა.**

ნამდვილ ზეიმად და დღესასწაულად იქცა ამ დღეებში მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის ფოლკლორული ანსამბლის გამოსვლა. ისინი ფშავური კომპოზიციით „ხატობა, ქორწილი, მუშნი“ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. სცენაზე „ბრავოსა და „ბის“-ის შეძახილებით იხმობდნენ. **ეთერ ჩოხელ-ბაინდურაშვილისას, ბაბალე ძოჩაშვილს, გიორგი დარძულს,** ლუკა რაზიკაშვილის შთამომავალს **ბაბალე ჩობალაურს,** მათ ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭათ და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ „ზეპირსიტყვიერების“ საღამოზეც ისახელეს თავი.

ქვემოქედელ ლაურეატებს ფულადი ჯილდო ას-ასი ლარი გადასცა დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელმა გელა იაკობიშვილმა და გამგეობის სახელით მიულოცა მათ ფესტივალის ლაურეატობა.

**ნანა ჭიჭინაძე**

აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი სამინისტროს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან პოლიციის მაიორის
მარინა ბერიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 X, მის. გლდანი VI კვ. 27 კორპ. 10 სადარბაზო

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის 112-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნინელი ჩახვაძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ბორის, კომპოზიციური და ნახევარგამტარი მასალების ლაბორატორიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლაბორატორიის გამგის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორის ოთარ ცაგარეიშვილის დედა
ნორა (გუგულიძ სალარეიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. დაკრძალვა 24 X, 16 სთ. ხონის რაიონი სოფ. გორა ჯიხაიშში.

სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ტექ. მეც. დოქტორს, ოთარ ცაგარეიშვილს გარდაეცვალა დედა
ნორა (გუგულიძ სალარეიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ლარის კურსი

**21 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2297 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7405 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1833 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0646 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9901 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,44545 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4623 ლარი. |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

კადრი



დარია თუ ავდარია




**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+11^0$ – $+17^0$, ღამით $+10^0$ – $+14^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+12^0$ – $+18^0$, ღამით $+10^0$ – $+15^0$.

**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+12^0$, დღისით $+18^0$.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.